

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი



სტუდენტური მხარდამჭერი სერვისები, როგორც შიდა ხარისხის
უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფაქტორი

ანი ყველაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა
და ინჟინერიის ფაკულტეტზე განათლების კვლევები და ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა ბარბაქაძე

პროფესორი, განათლების მეცნიერებების დოქტორი

თბილისი, 0178, საქართველო

2021 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	3
თავი I. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების არსი და მნიშვნელობა შიდა ხარისხის უზრუნველყოფისთვის	7
თავი II. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების ადმინისტრირება	
§2.1 სტუდენტური მხარდაჭერის სერვისების რეგულირების მექანიზმები	10
§2.2 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნების ანალიზი	12
§2.3 საქართველოს უნივერსიტეტების ვებგვერდების შესწავლა	16
§2.4 სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები-საერთაშორისო გამოცდილება	20
თავი III. კვლევითი ნაწილი	
§3.1 სტუდენტური მხარდაჭერის სამსახურებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი	27
§3.2 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი	35
§3.3 სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი	40
დასკვნები და რეკომენდაციები	53
გამოყენებული ლიტერატურა	60
დანართი 1 კითხვარი სტუდენტებისთვის	66
დანართი 2 ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი	74
დანართი 3 ცხრილები, დიაგრამები, სქემები	81

შესავალი

თანამედროვე სამყაროში განათლების სფეროსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების საკითხი უფრო და უფრო აქტუალური ხდება. 21-ე საუკუნის მსოფლიო განათლებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემების გარეშე წარმოუდგენელია, ეს კი თანამედროვე კონკურენტულ საბაზრო პირობებში მუდმივ ცვლილებებს, ინოვაციებს და სწრაფ განვითარებას უნდა განიცდიდეს. საქართველო არის განვითარებადი ქვეყანა, რომელიც მიჰყვება მსოფლიოს გამოცდილებებსა და მიღწევებს, ის ცდილობს ქართულ რეალობაში ცვლილებების გადმოტანას რეფორმების სახით.

უმაღლესი განათლების სისტემა ქვეყნისთვის ერთ-ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და მუდმივად განვითარებადი სფეროა, რომელშიც ბოლო წლებში ბევრი საინტერესო რეფორმა და ცვლილება განხორციელდა. 2004 წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა და საკანონმდებლო რეგულაცია.

სტუდენტური მხარდამჭერი მექანიზმები ისევე როგორც სამსახურები, ერთ-ერთი და მეტად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შესაფასებლად.

თემას აქტუალობა შესძინა 2005 წლის მაისში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ ბოლონიის პროცესმა, რომლის შედეგადაც ქვეყანამ გარკვეული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები იტვირთა. მას შემდეგ, რაც საქართველო ბერგენის სამიტზე ბოლონიის პროცესს შეუერთდა, საქართველოს განათლების სისტემაში დაიწყო ძირეული და მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებები. მათ შორის ერთ-ერთი საკითხი გახლდათ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების შემუშავება და მათ ევროპულ დონესთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც თავის მხრივ წინ გადადგმული ნაბიჯია; უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი და სტანდარტი არის სწორედ ის, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს ადეკვატური და იოლად ხელმისაწვდომი

სასწავლო რესურსები და სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების არსებობა (ESG, 2015).

ავტორიზაციის სტანდარტების დანერგვის შედეგები საკმაოდ თვალსაჩინოა, აღნიშნულმა პროცესმა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უბიძგა სტანდარტებთან შესაბამისობისთვის მრავალი ცვლილების განხორციელებისაკენ.

სტუდენტური სერვისების განვითარება და სტუდენტების მხარდამჭერი, საკარიერო და საკონსულტაციო სტრუქტურული ერთეულების ამოქმედება ან უკვე არსებულების საქმიანობის გაუმჯობესება, იყო ერთ-ერთი განხორციელებული ყველაზე პოზიტიური ცვლილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

აღნიშნული სტუდენტური სერვისების განვითარება და დივერსიფიცირება, ხელს შეუწყობს სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გაუმჯობესებასა და მათ პიროვნულ ზრდას.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია სტუდენტური სერვისების როლი და მნიშვნელობა, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფაქტორი. ასევე, წარმოდგენილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შეთავაზებული სტუდენტური მხარდამჭერისა და განვითარების სერვისების კვლევა და მათი შეფასება ამ მიმართულებით საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. ამასთანავე, ნაშრომში მოცემულია საერთაშორისო გამოცდილება სტუდენტური სერვისების განვითარებისთვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტებთან „სტუდენტები და მათი მხარდამჭერის ღონისძიებები“ შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა დასკვნების შესწავლისას იდენტიფიცირდა უამრავი საკითხი და გამოწვევა, ასევე შემდგომი კვლევის საგანი გახდა. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ნაშრომის **აქტუალურობას**.

აღსანიშნავია ისიც, რომ წინამდებარე ნაშრომის **სიახლეს წარმოადგენს** დღესდღეობით ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, სტუდენტური

მხარდამჭერი სერვისების, როგორც შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფაქტორის სისტემური შესწავლა და ანალიზი.

შემუშავდა სამუშაო ჰიპოთეზა, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ სტუდენტთათვის მრავალფეროვანი სტუდენტური სერვისების შეთავაზებასა და თავიანთ ინსტიტუციაში არსებული სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების ეფექტიან პოპულარიზაციასა და მომსახურებას.

კვლევის მიზანი: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების შესწავლა/გაანალიზება და განსაზღვრა, თუ რა არის გასაუმჯობესებელი ამ მიმართულებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახურების/სტრუქტურული ერთეულების როლი და ეფექტურობა უსდ -ს ხარისხის უზრუნველყოფაში.

კვლევის საგანია - საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტური მხარდაჭერის სერვისები.

გამოიკვეთა შემდეგი საკვლევი საკითხები:

- უსდ-ების მიერ შეთავაზებული სტუდენტთა მხარდასაჭერი სერვისები და მათი პოპულარიზაციის შესწავლა/ანალიზი;
- სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების სამსახურების/სტრუქტურული ერთეულების მიერ შეთავაზებული სერვისები და მათი მომსახურების ეფექტიანობა;

კვლევის ამოცანები:

წინამდებარე ნაშრომის კვლევის ამოცანაა, რა სტუდენტური სერვისების განვითარების და სტუდენტების მხარდამჭერი, საკარიერო და საკონსულტაციო სტრუქტურული ერთეულები არსებობს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და რამდენად ეფექტიანად მუშაობენ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები.

გამოიკვეთოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია უსდ-ს შიდა ხარისხის უზრუნველყოფისთვის სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახურების როლი.

კვლევის მეთოდი და მისი რელევანტურობა:

კვლევის მიზნებიდან და საკვლევი საკითხებიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევა, გამოკითხულნი იქნებიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების გენერალური ერთობლიობა, და ასევე თვისებრივი კვლევა - ჩაღრმავებული ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ საგანმანათლებლო დაწესებულებების (კერძო და საჯარო/კოლეჯი, სასწავლო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სტუდენტთა მომსახურების/მხარდამჭერის სამსახურის ხელმძღვანელებთან. საჭიროების შემთხვევაში ნაწილობრივ შესაძლოა შეიცავდეს ჩაღრმავებულ კვლევას და წინასწარ შემუშავებულ სადისკუსიო გეგმის არსებობას.

თავი 1. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების არსი და მნიშვნელობა შიდა ხარისხის უზრუნველყოფისთვის

რას ნიშნავს სტუდენტური სერვისები?

სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების კონცეფცია გამოიყენება იმ სამსახურების, განყოფილებების ან დეპარტამენტების აღსაწერად, რომლებიც უზრუნველყოფენ მხარდაჭერას, მომსახურებასა და სტუდენტების დახმარებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღნიშნული სამსახურები უზრუნველყოფენ სტუდენტების ზრდასა და განვითარებას აკადემიურ სივრცეში. სტუდენტური სერვისები წარმოიშვა ათენის განათლებასა და უნივერსიტეტებში, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში ზოგადად აღიარებულია, როგორც ამერიკული ფენომენი. ზოგიერთ ქვეყანაში ძალიან კარგად არის განსაზღვრული სტუდენტთა მომსახურების პროფესიონალების განყოფილების დელიმიტირება, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში კვლავ შემორჩენილი მოვლენაა (Ciobanu A. 2013 გვ.169-173). დამატებითი მხარდამჭერი სერვისები, ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას, მათ შორის აკადემიური უნარების განვითარების პროგრამებსა და სტუდენტების სპეციფიკურ მხარდაჭერას, რომელთაც უჭირთ სწავლა ან ადაპტირება უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ასეთი სერვისები ხელს უწყობს აკადემიური გამოცდილების ხარისხს და ეხმარება სტუდენტებს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში. სტუდენტური სერვისების ფუნქციონირების ფორმა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია. ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული სერვისები უნივერსიტეტის მენეჯმენტის ნაწილია (ინტეგრირებულია სტუდენტთა მომსახურების სამსახურში, განყოფილებაში თუ დეპარტამენტში) ზოგ ქვეყნებში, მაგალითად, საფრანგეთში, ისინი გადანაწილებულია შესაბამის სპეციალურ ორგანიზაციებში (Ciobanu A. 2013 გვ.169-173). ამ სფეროში მომუშავე პერსონალი, როგორც წესი, აკრედიტებულია სერტიფიცირების გზით, დაკავებული პოზიციის შესაბამისად.

სტუდენტური სერვისების როლი და სტუდენტთა მხარდაჭერა, ხელს უწყობს სტუდენტის ხარისხიან სასწავლო გამოცდილებას და მათ აკადემიურ

წარმატებებს. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია: სწავლა-სწავლების და მომსახურების სისტემების ხარისხი და სტუდენტების მხარდაჭერა. აქედან გამომდინარე, სტუდენტებისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების მრავალფეროვნება და მნიშვნელობა უმნიშვნელოვანესია ინსტიტუციისთვის.

სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების როლს წარმოადგენს, სტუდენტების საზოგადოებაში ინტეგრირებას, აღნიშნული სერვისები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გადაწყვეტილებების მიღების და კონფლიქტების რაციონალურად მოგვარების ღია მეთოდების დამკვიდრებაში. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი სერვისებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რაც აკმაყოფილებს მათ აკადემიურ, პირად განვითარებას და ემოციურ საჭიროებებს (McInnis, C. 2004 გვ. 383-394).

რა როლი უკავიათ სტუდენტებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფაში?

უსდ-ს დეპარტამენტები, სკოლები, ფაკულტეტები და სხვა სტრუქტურული ერთეულები, ისევე როგორც დაწესებულების ხელმძღვანელობა, თითოეული თანამშრომელი და სტუდენტები, პასუხისმგებელი არიან თავიანთი ინსტიტუციის შიდა ხარისხის უზრუნველყოფაზე.

სტუდენტების ჩართულობა უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა თუ გარე უზრუნველყოფაში განპირობებულია 2015 წლის ერევნის კომუნიკეთი (ერევნის კომუნიკე 2015), რომლითაც ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ქვეყნის მინისტრები შეთანხმდნენ, რომ ისინი მხარს დაუჭერდნენ და დაიცავდნენ სტუდენტების, როგორც სრულუფლებიანი პარტნიორების წარმომადგენლობას ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მმართველობაში. ასევე ისინი შეთანხმდნენ, რომ შექმნიდნენ წახალისების მექანიზმებს დაწესებულებების, მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის იმ აქტივობათა გასაძლიერებლად, რომლებიც ავითარებენ კრეატიულობას, ინოვაციასა და მეწარმეობას. ეფექტური სასწავლო აქტივობების მეშვეობით სტუდენტებს

საშუალებას უნდა აძლევდეს, განავითარონ ის კომპეტენციები, რომლებიც საუკეთესოდ აკმაყოფილებს პირად მისწრაფებებსა და საზოგადოებრივ საჭიროებებს.

აღნიშნულ დოკუმენტში მინისტრები ერთხმად თანხმდებიან, რომ მნიშვნელოვანია სტუდენტის როლი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში. მეტიც, ისინი თვლიან, რომ სტუდენტები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი, როგორც აკადემიური საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები კურიკულუმის დიზაინისა და ხარისხის უზრუნველყოფაში.

სტუდენტების ჩართულობა ასევე გულისხმობს სტუდენტთა როლის გაზრდას უმაღლესი განათლების როგორც შიდა, ასევე გარე ხარისხის უზრუნველყოფაში. ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპებიდან (ESG 2015) გამომდინარე უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა შექმნან პირობები ისეთი ხარისხის კულტურის განვითარებისათვის, რომლის პირობებშიც ყველა შიდა დაინტერესებული მხარე მათ შორის სტუდენტები პასუხისმგებლები იქნებიან ხარისხზე და ჩართული არიან ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში.

სტუდენტის ჩართულობა და როლი საგანმანათლებლო სივრცეში მეტად მნიშვნელოვანია როგორც შიდა, ისე გარე ხარისხის უზრუნველყოფაში. ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით სტუდენტი მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული უსდ-ს საქმიანობაში. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოში მოქმედი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და პროცედურებით (ავტორიზაცია და აკრედიტაცია) გათვალისწინებულია, რომ მნიშვნელოვანია სტუდენტის ჩართულობა მმართველ ორგანოებში და სხვადასხვა აქტივობებში, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ამყარებს სტუდენტის როლს ინსტიტუციურ საქმიანობაში და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინსტიტუციის შემდგომ წარამტებაში.

თავი II. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების ადმინისტრირება

§2.1 სტუდენტური მხარდამჭერის სერვისების რეგულირების მექანიზმები

წინამდებარე ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს სტუდენტურ მხარდამჭერ სერვისებზე როგორც შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ფაქტორზე. გამომდინარე აქედან, ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში აღწერილი და გაანალიზებულია ის ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები და სტანდარტები, რომლებითაც რეგულირდება ზოგადად სტუდენტური მხარდამჭერის საკითხი:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ)
- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG 2015)
- საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დასკვნები.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შემუშავებული წესები და დებულებები (საკვლევი საკითხის ირგვლივ)

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე იკვეთება გარემოება, რომ დაწესებულებებს აქვთ ვალდებულება სტუდენტებს შესთავაზონ ფართო და მრავალფეროვანი სტუდენტების მხარდამჭერი სერვისები, ასევე შეიმუშაონ მკაფიოდ განსაზღვრული წესები და დებულებები ეფექტური მომსახურებისა და მხარდამჭერის უზრუნველსაყოფად. დღეს არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე, როდესაც უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცეში არსებობს აქტიური კონკურენცია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ცდილობენ მაქსიმალურად დაიცვან ავტორიზაციის სტანდარტები და იყვნენ მაქსიმალურად სტუდენტზე ორიენტირებულნი, მორგებულნი და შესთავაზონ მეტი მხარდამჭერა სტუდენტებს.

ავტორიზაციის სტანდარტების დანერგვამ გამოიწვია ერთ-ერთი აქტუალური საკითხის, სტუდენტური სერვისების განვითარება და სტუდენტების მხარდამჭერი, საკარიერო და საკონსულტაციო სტრუქტურული ერთეულების ამოქმედება ან უკვე არსებულების საქმიანობის გაუმჯობესება.

საქართველოში ავტორიზებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობისთვის განახორციელეს სტრუქტურული ცვლილებები და შექმნეს შესაბამისი სამსახურები ან გააუმჯობესეს და მისცეს მას ფუნქციური სახე, ამისთვის კი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გამოყვეს დაწესებულების ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხები, სწავლისა და სწავლების საქმიანობის განსახორციელებლად და ადეკვატური, იოლად ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსებისა და სტუდენტების მხარდამჭერი სერვისების არსებობა.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად (ESG 2015), კარგი უმაღლესი საგანმანათლებლო გამოცდილებისა და სწავლაში მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულება ვალდებულია სტუდენტებს რესურსების ფართო სპექტრი შესთავაზოს. ეს სპექტრი ვარირებს ფიზიკური რესურსებიდან (ბიბლიოთეკა, სასაწავლო რესურსები და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა) ადამიანურ მხარდაჭერამდე, კონსულტანტებისა და სხვა მრჩეველთა სახით. სასწავლო რესურსებისა და სტუდენტების მხარდაჭერის დაგეგმვის, განაწილებისა და უზრუნველყოფისას დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ტიპის (ზრდასრული, არასრული სასწავლო დატვირთვის, დასაქმებული და საერთაშორისო სტუდენტები, ისევე როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტები) სტუდენტების საჭიროებები, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლაზე გადასვლა და სწავლისა და სწავლების მოქნილი ფორმები. უსდ-ს კონტექსტიდან გამომდინარე მხარდამჭერი აქტივობებისა და საშუალებების ორგანიზება სხვადასხვა გზებითაა შესაძლებელი. ამასთან, ხარისხის შიდა უზრუნველყოფამ უნდა დაადასტუროს, რომ ყველა რესურსი მიზნის შესაბამისი

და ხელმისაწვდომია და სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული სერვისების შესახებ. მხარდამჭერი სერვისების მიწოდებაში ადმინისტრაციული და მხარდამჭერი სერვისების თანამშრომლების როლი უმნიშვნელოვანესია. შესაბამისად, ისინი კვალიფიციურნი უნდა იყვნენ და შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ განვიტარონ საკუთარი კომპეტენციები. აღნიშნული დოკუმენტშიც იკვეთება, რომ სტუდენტთა სერვისების როლი მეტად მნიშვნელოვანი საკითხია

§2.2 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნების ანალიზი

კვლევის ფარგლებში მოძიებულ და შესწავლილ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დასკვნები, ყურადღება გამახვილდა მხოლოდ მე-5 სტანდარტზე „სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ) აღნიშნულ დოკუმენტებზე მუშაობისას კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ უსდ-მ უნდა უზრუნველყოს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და მათი უფლებების დაცვა. შესთავაზოს სტუდენტებს შესაბამისი სერვისები, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის და კარიერულ განვითარების. ასევე უსდ-მ უნდა მოახდინოს სტუდენტების მაქსიმალური ინფორმირება, უნდა ახორციელებდეს მრავალფეროვან განსხვავებულ აქტივობებს და ხელს უწყობდეს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. ამასთან სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ უნდა ახორციელებდეს გამოკითხვებს და ითვალისწინებს სტუდენტთა აღნიშნული გამოკითხვის შედეგებს.

ყოველივე ზემოთ ხსენებული ღონისძიებების გამართულად ფუნქციონირება უზრუნველყოფს სტუდენტის უსაფრთხოებას, კარიერულ განვითარებას, პროფესიულ ზრდას.

დღევანდელი განათლების სისტემა რეფორმირების და დახვეწის პროცესშია გარკვეული სტანდარტების შემუშავებამ უზრუნველყო მკაცრად გაწერილი წესით უნივერსიტეტებში მრავალი რეფორმების განხორციელება. უნივერსიტეტები

ერთხმად თანხმდებიან რომ უსდ-უნდა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული რაც აღნიშნული რეფორმის ყველაზე მნიშვნელოვანი და პოზიტიური შედეგი გახლავთ.

როგორც აღვნიშნეთ, განათლების სისტემა ჯერ ისევ დახვეწის პროცესშია, ამ პროცესში კი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცესები და მონიტორინგები, ეს კიდევ უფრო უზიარებს უნივერსიტეტებს მრავალი ინოვაცია და სიახლე შესთავაზონ უნივერსიტეტებმა სტუდენტებს და შეუქმნან მართლაც, რომ ადაპტირებული გარემო.

ავტორიზაციის დასკვნების გაცნობის პროცესში გამოიკვეთა სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით გასაუმჯობესებელი გარემოებები, ასევე შევხვდით უსდ-ებში სხვადასხვა სახის დარღვევებს, ისეთ დოკუმენტებს წესებს/დებულებებს რომლების არსებობს, მაგრამ პრაქტიკაში ნაკლებად იყენებენ. არსებობს სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახური, თუმცა მისი ფუნქციონირება დასახვეწი და გაუმართავია, ასევე დღეს ავტორიზებული უსდ-ებიდან ჩანს, რომ ყველა უნივერსიტეტს არ აქვს დამსაქმებლების ბაზა, რომელიც რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია სტუდენტთა დასაქმებისთვის და კარიერული განვითარებისთვის.

ერთ-ერთი დარღვევა რომელიც დოკუმენტებზე მუშაობისას გამოიკვეთა არის ის, რომ შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი“-ს დოკუმენტში "სასწავლო პროცესის რეგულირების წესები" პუნქტი 65 აღნიშნავს, რომ სტუდენტი დაკარგავს ადსუ-ს სტიპენდიას თუ გააცდენს გამოცდას, რაც შესაძლოა შეფასდეს სტუდენტის უფლებების დარღვევად იმ შემთხვევაში თუ გაცდენა იქნება საპატიო მიზეზით, მაგალითად ავადმყოფობის გამო (ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი“ 2019).

ექსპერტთა დასკვნებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში შემუშავებულია ამ მიართულებით გარკვეული დოკუმენტები/წესები, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში დასკვნაში აღწერილია, რომ დაწესებულებების თანამშრომლები არ იცნობდნენ დოკუმენტებს, რომლითაც თავად უნდა ეხელმძღვანელათ. მაგალითად, ერთ-ერთ

დასკვნაში ვკითხულობთ, რომ დოკუმენტი "სასწავლო პროცესში განათლების აღიარების წესი" განმარტავს სხვა უსდ-ში მიღებული განათლების (კრედიტების) აღიარების რეგულაციებს, რაც უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის აღიარების კომისიის მიერ. მიუხედავად ამისა, გაუგებარი იყო იცნობდა თუ არა დეკანატი კრედიტების აღიარების სისტემას.

ექსპერტთა დასკვნების გაცნობის შედეგად დასტურდება, რომ უსდ-ების უმრავლესობას აქვს შექმნილი სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახურები, აქვთ გაწერილი/წესები და დებულებები. მიუხედავად ამისა, ირკვევა, რომ ამ მიმართულებით დაწესებულებებმა უნდა იმუშაონ სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების გაუმჯობესებაზე. მაგალითად, გამოიკვეთა უსდ, რომელსაც სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახურის სრულფასოვნად მუშაობისათვის აქვს სამუშაო. შპს „ახალ უმაღლეს სასწავლებელ“-ში ინტერვიუებმა კარიერის განვითარებასთან დაკავშირებით აჩვენა, რომ კოლეჯის ბაზაზე არ ტარდება ე.წ. დასაქმების "ფორუმები". სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების და კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი სტუდენტთათვის შესაძლებლობებს ეძებს საკუთარი კონტაქტებით. ეჭვქვეშ დგება საკითხი შეიქმნა თუ არა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზა, რომელიც მუდმივად აცნობებდა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობების / ვაკანსიების შესახებ. უცნობია, რეგულარულად ახორციელებს თუ არა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავისი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვას მათ პიროვნული, პროფესიული და აკადემიური განვითარების შესახებ. (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა საბოლოო დასკვნა ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება 2019).

ასევე აღმოჩნდა, რომ შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს“ (გთუნი) არ გააჩნია არსებული დამსაქმებლების სტრუქტურირებული მონაცემთა ბაზა. დასკვნაში ვკითხულობთ, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა უსდ-საგან აღნიშნული მონაცემთა ბაზის წარმოდგენა მას შემდეგ, რაც მათ დაადასტურეს ასეთის ქონა; თუმცა, გთუნი-ს მიერ

წარმოდგენილი მონაცემები შედგებოდა მხოლოდ დამსაქმებელთა ოფიციალური სახელებისაგან შემდგარი ნუსხისაგან. (გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (გთუნი) ავტორიზაციის შესახებ დასკვნა 2019)

„ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ექსპერტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ უნივერსიტეტს გამოსასწორებელი აქვს საერთაშორისო სტუდენტებისათვის ინგლისურ ენაზე ინფორმაციისა და კომუნიკაცია. როგორც დასკვნაში ჩანს, ისინი ავრცელებენ ინფორმაციას კოპირების მეშვეობით (არაფორმალური კონტაქტების ან თარგმანის გამოყენებით) (სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა 2018), თუმცა ეს საკმარისი არაა საერთაშორისო ამბიციებისა და სტატუსის მქონე უნივერსიტეტისთვის მათ თანაბრად უნდა უზრუნველყონ სტუდენტებთან ინფორმაციის მიწოდება როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე.

ამდენად, იკვეთება მიმართულებები, რომლებიც ნამდვილად სჭიროებს გაუმჯობესებას, თუმცა აღსანიშნავი ფაქტია ის, რომ ამ მიმართულებით გასაძლიერებლად უნივერსიტეტების უმრავლესთა აქტიურად ატარებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, რაც ვფიქრობ კარგია იმის დასანახად თუ რა სუთ სტუდენტებს და რა აქვს უსდ-ს გამოსასწორებელი.

დოკუმენტების შესწავლისას ასევე შევხვდით ისეთ აქტივობებს რომელიც შესაძლოა „საუკეთესო გამოცდილება“-დ ჩავთვალოთ მაგალითად „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს“ (ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ 2019) და „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტ“-ს (სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა 2018) თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის სტუდენტისთვის შემუშავებული აქვთ საინტერესო „გზამკვლევი“, სადაც გაწერილია სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, საგანმანათლებლო დოკუმენტების გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების

აღიარების წესი, ეს კი სტუდენტისთვის განსაკუთრებით კი პირველ სემესტრელთათვის მეტად საინტერესო იქნება გზამკვლევი დაეხმარება მათ ახალი გარემოს ადაპტირებაში.

ასევე, საინტერესო გახლდათ „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ მიერ ინიცირებული "სტუდენტთა ომბუდსმენის ოფისის" (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა 2018) დაარსება და სამართლის სტუდენტებით დაკომპლექტება. აღნიშნული ინიციატივა საინტერესო და კარგი წინადადებული ნაბიჯია სტუდენტთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

კიდევ ერთი „საუკეთესო გამოცდილებად“ შეიძლება ჩავთვალოთ ახალი უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთ მმართველო ორგანოში „ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭო“-ში 12 სტუდენტის როგორც წევრად შეყვანა, (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა საბოლოო დასკვნა ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება 2019). აღნიშნული ფაქტი მნიშვნელობას იძენს იმიტომ, რომ სტუდენტებს აძლევს ძლიერ ხმას, ასევე ყურადღების გამახვილების შესაძლებლობას იმ პრობლემებზე, რომელთა წინაშეც დგებიან დაწესებულებაში.

ავტორიზაციის პროცესის ყველაზე პოზიტიური შედეგია, ის რომ საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს დარღვევები, ხარვეზები და „საუკეთესო გამოცდილებები“, რაც ასევე, უწყობს ხელს განვითარების პროცესს. ყველა ინსტიტუცია და მათი ხელმძღვანელები ცდილობენ, წარმოადგენდნენ კონკურენტული და მაღალი დონის საგანმანათლებლო დაწესებულებები, თუმცა იდენტიფიცირების გარდა მნიშვნელოვანია შემდგომი აქტიური ნაბიჯების გადადგმა.

§2.3 საქართველოს უნივერსიტეტების ვებგვერდების შესწავლა

ყველა უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი პროცესია სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება და კომუნიკაცია, როგორც უსდ-ს საზოგადოებრივი ცნობადობის გასამყარებლად, ისე სტუდენტებისთვის მიმდინარე სიახლეების

დაგეგმილი ტრენინგების, სტაჟირებების, შეხვედრების, თუ სხვა აქტივობების გაცნობა, რათა სტუდენტები ინტერესის შესაბამისად ჩაერთონ პროექტებში. უსდ-ების უმრავლესობა სტუდენტებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად ძირითადად იყენებენ, როგორც ოფიციალურ ვებგვერდს ისე ოფიციალურ Facebook და Instagram გვერდს.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ოფიციალური ვებგვერდები. აღნიშნული ვებგვერდების შესწავლის მიზანი იყო უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებული სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების ხარისხის დადგენა, ანალიზი და შეფასება.

კვლევის ფარგლებში გავეცანით თითქმის ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდს, რომლის შესწავლისას გამოიკვეთა სხვადასხვა გასაუმჯობესებელი თუ ინოვაციური ფაქტორები.

ზოგადი სურათით იკვეთება, რომ უნივერსიტეტები აქტიურად სთავაზობენ სტუდენტებს სხვადასხვა სიახლეებს დაგეგმილი თუ უკვე განხორციელებული აქტივობების შესახებ, ასევე ტრენინგებს/შეხვედრებს/ლექციებს აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. უსდ-ები აქტიურად ატარებენ სტუდენტურ კონფერენციებს.

ყველა უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა თვითმართველობა და თვითმართველობის დებულება, ასევე სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების სამსახური. უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული სამსახურის სახელები განსხვავებულად არის ინტერპრეტირებული უსდ-ებში, თუმცა შინაარსული მხარე უმეტეს შემთხვევაში ერთია და ის წარმოადგენს სტუდენტთა მომსახურებას და მხარდამჭერ სამსახურს.

სტუდენტთა მხარდამჭერი მიმართულებით უნივერსიტეტში არსებობს ისეთი სამსახურები, როგორცაა: კარიერული განვითარების სამსახური, სტუდენტური საქმეების ცენტრი, დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი, კარიერული სერვისების სამსახური, სტუდენტთა ღონისძიებებისა და კურსდამთავრებულებთან

ურთიერთობის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და კარიერული განვითარების სამსახური, სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი, ომბუდსმენის სამსახური, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მიმართულებით კლუბი/ცენტრი. კვლევის ფარგლებში შესწავლილი ვებ-გვერდებიდან ჩანს, რომ ყველა უსდ-ს ჰყავს მინიმუმ ერთი სტრუქტურული ერთეული ან ცენტრი, რომელიც სტუდენტებს მხარდამჭერ სერვისების და მომსახურებას სთავაზობს.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც დახვეწას და გაუმჯობესებას საჭიროებს. საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რამდენად ხარისხიანად უზრუნველყოფენ უსდ-ები არსებული სერვისების მიწოდებას სტუდენტებისთვის. ვებგვერდების შესწავლისას გამოკვეთილი ზოგადი სურათით უნივერსიტეტების უმრავლესობა „სიახლეების“ ველში აქვეყნებს ზოგად ინფორმაციებს დაგეგმილი ღონისძიებებსა და ვაკანსიების შესახებ, ეს ინფორმაციები არ არის კატეგორიზებულია და სხვა ზოგად ინფორმაციებს შორის არის შერეული სახით, რაც ართულებს თემატურად ინფორმაციის მოძებნას. აღსანიშნავია, ისიც, რომ ზოგ უნივერსიტეტს მაგალითად „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს“ ისე აქვს ვებგვერდის მნიშვნელოვანი მიმართულებები გამოყოფილი (როგორცაა დასაქმება, ტრენინგები, კონკურსები), რომ სტუდენტისთვის უფრო გაადვილებულია ნავიგაცია. კერძოდ, კონკურსების ველში შემოთავაზებული აქვს შემოთავაზებული კონკურსები, დასაქმების ველში მხოლოდ შემოთავაზებული ვაკანსიები სტუდენტთათვის, ასევე უნივერსიტეტს აქვს შექმნილი სხვადასხვა კლუბები სპორტული, ლიტერატურული თუ სხვა. ილიაუნიში არსებობს დასაქმების კვირეული, რომელშიც 60- ზე მეტი ორგანიზაცია იღებს მონაწილეობას. (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, <https://iliauni.edu.ge>);

ყურადსაღებია სტუდენტთა სერვისების მიმართულებით ინფორმაციის ვებგვერდზე დროულად განთავსების საკითხიც. კერძოდ, „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან“ , რომელიც 2018 წელს არის დაწერილი, ვიგებთ, რომ სტუდენტების უფლებების

მიმართულებით დაარსდებოდა „სტუდენტთა ომბუდსმენის ოფისი“ და ეს წამოწყება ექსპერტთა ჯგუფის მიერ საუკეთესო პრაქტიკადაც კი შეფასდა. თუმცა აღნიშნული უნივერსიტეტის ვებგვერდის შესწავლისას „სტუდენტთა ომბუდსმენის ოფისი“ მოძიბა ვერ მოხერხდა, რაც იწვევს ეჭვს, რომ ან ინფორმაცია არ განთავსდა ვებგვერდზე, ან უნივერსიტემა ვერ შეძლო ოფისის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

გრიგოლ რობაქიძის ვებგვერდის შესწავლისას ყურადღება მიიპყრო მათ მიერ გამოქვეყნებულმა დოკუმენტმა “ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიში 2017-2018 სასწავლო წელს სტუდენტთა გამოკითხვის შესახებ ჩატარებულმა კვლევა სტუდენტთა გამოკითხვის შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, რომ სტუდენტებს აქვთ თავისუფლება შეაფასონ უნივერსიტეტი და ასევე განსაზღვრონ უსდ-ს ძლიერი და სუსტ მხარეები, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ ღიად არის მოყვანილი სტუდენტების მიერ წარმოთქმული დადებითი თუ უარყოფითი შეფასებები. ყველაზე დადებითია ის ფაქტი, რომ ეს ინფორმაცია საჯაროა და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ამ ინფორმაციის ნახვა. ეს ქმნის მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტი იაზრებს რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტთა დამოკიდებულება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისთვის. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ 2019-2020 წლის მსგავსი ანალიზი ჯერჯერობით უნივერსიტეტს არ გამოუქვეყნებია საინტერესო იქნებოდა იმის ნახვა რამდენად გამოსწორდა კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი არადადამაკმაყოფილებელი შეფასებები.

უნივერსიტეტის თსუ-ს განახლებულ ვებგვერდზე შესვლისას პირდაპირ გვხვდება „სტუდენტთა მომსახურება“, სადაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სტუდენტთა მომსახურების მიმართულებით ფაკულტეტების მიხედვით მისამართები და ტელეფონის ნომრები რაც პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს.

ასევე თსუ-ს დეტალურად აქვს აღწერილი სტუდენტური ცხოვრება და სტუდენტური პროექტები, გამოყოფილი ბიუჯეტით, რაც ძალიან კარგია

სტუდენტური ცხოვრების თვალსაჩინოებისთვის. თსუ-ს ვებ-გვერდზე ვკითხულობთ რომ 350-ზე მეტი სტუდენტური ღონისძიება ტარდება ყოველწლიურად მათი ნაწილი კი დეტალურად აღწერილია გარკვეულ ღონისძიებებში მიღებული ჯილდოებით.

ოფიციალური ვებ-გვერდი შეიძლება ითქვას, რომ არის დაწესებულების „სახე“ აქედან გამომდინარე უმნიშვნელოვანესია ინსტიტუციისთვის რამდენად ღია, საჯარო და ინფორმაციული იქნება, რადგან როგორც სტუდენტი ისე სხვა დაინტერესებულ პირი სწორედ ვებგვერდის მეშვეობით იგებს მისთვის საინტერესო ინფორმაციას და ექმნება ზოგადი სურათი დაწესებულების მუშაობაზე. შესაბამისად ვებგვერდი უნდა იყოს გამართული, ინფორმაციული და მუდმივად განახლების რეჟიმში.

შესწავლილი ვებგვერდებიდან გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტები ცდილობენ სიახლე შესთავაზონ სტუდენტებს, ქმნიან სტუდენტებისთვის სხვადასხვა კლუბებს, ცენტრებს თუ სამსახურებს, რაც ძალიან კარგია თუმცა აღნიშნული კლუბების/ცენტრების/სამსახურების აქტიური მუშაობა ვებგვერდებზე რთული დასანახია. ხშირ შემთხვევაში მათთვის განკუთვნილი პლატფორმები, სადაც ინფორმაციები უნდა იდებოდეს დაგეგმილი ღონისძიებების თუ მათი მუშაობის შესახებ, უნდა იყოს უფრო მეტი ინფორმაციის მომცველი.

§2.4 სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები-საერთაშორისო გამოცდილება

როგორც წინა თავში აღინიშნა, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში გაწევრიანებამ საქართველოს განათლების სისტემა საგრძნობლად შეცვალა, აღსანიშნავია ისიც თუ რამდენად დადებითად აისახა აღნიშნული ცვლილებები საგანმანათლებლო სისტემაზე, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ ბევრი რეფორმა არის გასატარებელი სისტემის კიდევ უფრო დახვეწისთვის.

აღნიშნულმა პროცესმა სტუდენტის როლი განათლების სისტემაში მნიშვნელოვნად გაზარდა, რაც დადებითად აისახება, როგორც სტუდენტზე ისე საგანმანათლებლო დაწესებულებებზე და მათ ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე.

ხშირად სტუდენტთა მომსახურება მოიაზრება შედარებით ვიწრო გაგებით, ისე, როგორც მათთვის გარკვეული ადმინისტრაციული სამსახურის გაწევა, თუმცა, როგორც ბრიტანული გამოცდილების გაზიარებით, უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა სტუდენტთა მომსახურებას, არამედ მათი მხარდამჭერი ადმინისტრაციული სისტემის არსებობა და განვითარებას.

როდესაც სტუდენტთა მხარდამჭერ სერვისებზე ვსაუბრობთ, საინტერესოა გავეცნოთ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებას. ამისთვის საინტერესო იყო გავცნობოდით 2009-2013 წელს ქართველ ექსპერტთა მიერ შემუშავებული ანგარიშებს და რეკომენდაციებს, აღნიშნულ ნაშრომში ნაწილობრივ დაგვეხმარა გაგვეანალიზებინა სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისებს ბრიტანული მაგალითი.

კურსდამთავრებულთა დასაქმების უზრუნველსაყოფად უსდ-ები ძირითადად ახორციელებენ შემდეგს: შესაბამისი კურიკულუმი, კურიკულუმის პარალელური აქტივობები, მომავალი სამსახურის შესაბამისი სწავლება და სამომავლო დასაქმების შესაძლებლობები, ინფორმაცია შესაძლო სამსახურების შესახებ. ყოველივე ეს გულისხმობს, რომ უსდ-მ უნდა უზრუნველყოს პროფესიული უნარების გამომუშავება, პოტენციურ დამსაქმებლებს და კურსდამთავრებულებს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფა და სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის ორგანიზება.

ბრიტანული მაგალითის შესაბამისად, კინგ'ს კოლეჯს აქვს 10-კვირიანი პროგრამა, რომელსაც ახორციელებს პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობით და რომელიც გულისხმობს შემდეგს: გუნდური მუშაობა, ეფექტური კომუნიკაცია, ლიდერობა, პრეზენტაციის უნარი, მოლაპარაკების ხელოვნება, ანალიტიკური აზროვნება, პრობლემის გადაჭრის უნარი, ინტერვიუს ტექნიკა და სხვ. (ქართველ

ექსპერტთა მიერ შემუშავებული ანგარიშები & რეკომენდაციები 2009 – 2013 გვ. 135-143)

ასევე სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით კინგ'ს კოლეჯში ფუნქციონირებს პირადი ტუტორის ინსტიტუტი, რომელიც გულისხმობს, სტუდენტის მხარდაჭერას არააკადემიურ საკითხებში, დახმარებას ფაკულტეტსა და უნივერსიტეტთან კომუნიკაციაში, ოჯახური პრობლემების მოგვარებაში, ემოციური პრობლემების, დეპრესიის, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვაში, სამომავლო გეგმების დასახვაში და სხვ.

გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად სტუდენტებს უჭირთ ადაპტირება უნივერსიტეტებში განსაკუთრებით კი ახალსემესტრელებს. ტუტორის ინსტიტუტის არსებობა სტუდენტებს გაუწევს საჭირო მხარდაჭერას და წახალისებას, დაეხმარება სტუდენტს უნივერსიტეტთან კომუნიკაციის დარეგულირებაში, არსებობის შემთხვევაში დახმარება საუნივერსიტეტო პრობლემების გადაჭრაში ან იმ კოლეგებთან დაკავშირებაში, რომლებსაც მათი პრობლემების მოგვარება შეუძლიათ და სხვ. ასევე პირადი ტუტორის არსებობა დადებითად იმოქმედებს როგორც დაწესებულებაზე, ისე სტუდენტზე, რადგან აღნიშნული სამსახურის მეშვეობით მოხდება პრობლემების დროული იდენტიფიკაცია და გადაწყვეტა, სტუდენტის გარიცხვის პრევენცია, სტუდენტთა კმაყოფილების ზრდა, რაც პოზიტიურად აისახება უნივერსიტეტის რეიტინგზე, მის პრესტიჟზე.

კინგ'ს კოლეჯის მაგალითზე პირადი ტუტორი ჰყავს სამივე საფეხურის სტუდენტებს. თითოეულ სტუდენტს უნივერსიტეტში ჩარიცხვის დროს გამოეყოფა პირადი ტუტორი, რომელსაც იგი ხვდება სწავლის პირველ კვირას. ჯგუფური შეხვედრები იმართება სემესტრში 4-5 ჯერ (ბაკალავრიატში), 2-3-ჯერ მაგისტრატურაში. არსებობს ინდივიდუალური შეხვედრების შესაძლებლობაც. სტუდენტის აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებული სპეციალური შეხვედრა იმართება აკადემიური წლის დასაწყისში და წლის განმავლობაშიც. შეხვედრების ორგანიზებას ახდენს პირადი ტუტორი. სტუდენტს აქვს ტუტორის შეცვლის

შესაძლებლობა. დოქტორანტურის შემთხვევაში პირადი ტუტორის ფუნქციას ასრულებს დოქტორანტების სამეცნიერო საბჭო, დოქტორანტურის კოორდინატორები, სადოქტორო სკოლის პერსონალი, თუმცა იგეგმება ამ სისტემის ცვლილება. (ქართველ ექსპერტთა მიერ შემუშავებული ანგარიშები & რეკომენდაციები 2009 – 2013 გვ. 135-143) ტუტორის ასეთი ინტენსიობით ჩართულობა ეფექტიანი და შედეგიანი იქნება როგორც სტუდენტებისთვის, ისე ინსტიტუციისთვის.

წინამდებარე თავში შესწავლილი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ოფიციალურ ვებგვერდების გარდა, საინტერესოა უცხო ქვეყნის უნივერსიტეტების ვებგვერდების გაცნობა სტუდენტთა მხარდამჭერის სერვისების მიმართულებით. ნიმუშის სახით შესწავლილ იქნა ცენტრალური ლანკაშირის უნივერსიტეტი UCLan Cyprus.

ცენტრალური ლანკაშირის უნივერსიტეტი UCLan Cyprus, ეს არის ბრიტანული უნივერსიტეტი, რომელიც მდებარეობს კვიპროსში ქ. ლარნაკაში კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა აღნიშნული უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, რათა შეგვესწავლა აღნიშნულ უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდაჭერა. შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ბრიტანული განათლების ხარისხს, ასევე სტუდენტებს აძლევს საშუალებას წამოიწყონ ინიციატივები, შექმნან კლუბები და საზოგადოებები, რომლებიც დიდ ინტერესს მისცემთ. კლუბებისა და საზოგადოების წევრებს ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვთ UCLan-ის გაერთიანებული სამეფოს კამპუსში, ისინი სტუდენტებს აძლევენ შესაძლებლობას განავითარონ ინტერესები და გაამდიდრონ უნივერსიტეტის გამოცდილება.

აღსანიშნავია ის, რომ უნივერსიტეტის ვებგვერზე არის სტუდენტების ბლოგი (#UCLanians Blog), სადაც სტუდენტების ინტერესების შესაბამისი სტატიები თუ მოსაზრებები და რჩევები არის გამოქვეყნებული, ეს მეტად პოზიტიურია, როგორც სტუდენტთა მოტივაციის ასამაღლებლად ასევე საინტერესოა მკითხველისთვისაც.

ასევე ვებგვერდზე არის ჩანართი, რომლითაც ირკვევა, რომ დაწესებულებას შექმნილი აქვს სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახურის Facebook დახურული ჯგუფი, (Student Support Services UCLan Cyprus) რომელშიც გაწევრიანებულია უნივერსიტეტის სტუდენტები და სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტებთან ინფორმაციის გაცვლას და უშუალო კომუნიკაციას.

უცხოური მაგალითის გაზიარება და ქართულ საგანმანათლებლო რეალობაზე ადეკვატურად მორგება კიდევ უფრო დაახლოებს სისტემას, ევროპული სივრცის პრინციპებთან. მნიშვნელოვანია ისეთი მხარდამჭერი სერვისის შეთავაზება სტუდენტთათვის, რომელიც დაეხმარება მათ, აკადემიურ გარემოში ადაპტაციასა და ინტეგრირებაში, ასევე მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აკადემიურ გარემოში მათი უფლებების დაცულობის შეგრძნებას. უნივერსიტეტებმა კარგი იქნება უფრო ეფექტური ნაბიჯები გადადგან ამ მიმართულებით.

ასევე საინტერესო იქნება უნივერსიტეტების მიერ, სტუდენტური ბლოგის დანერგვა. აღნიშნული სერვისი სტუდენტებისთვის საინტერესო და მოტივაციის ასამაღლებლად კარგი წამოწყება იქნება, რადგან ისინი ინტერესის შესაბამისად გამოაქვეყნებენ თავიანთ სტატიებს და მოსაზრებებს გაუზიარებენ სხვა დაინტერესებულ სტუდენტებს. აღნიშნულის ხილვა საქართველოში მოქმედ უსდ-ების ვებგვერდებზე საინტერესო იქნება.

თავი III. კვლევითი ნაწილი

კვლევის მიზანს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების შესწავლა/გაანალიზება და განსაზღვრა, თუ რა არის გასაუმჯობესებელი ამ მიმართულებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახურების როლი და ეფექტურობა უსდ -ს ხარისხის შიდა უზრუნველყოფაში.

კვლევის ამოცანები:

- 1) წინამდებარე კვლევის ამოცანაა, შევისწავლოთ რა სტუდენტური სერვისების განვითარების და სტუდენტების მხარდამჭერი, საკარიერო და საკონსულტაციო სტრუქტურული ერთეულები არსებობს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და რამდენად ეფექტიანად მუშაობენ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები.
- 2) გამოიკვეთოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია უსდ-ს შიდა ხარისხის შიდა უზრუნველყოფისთვის სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახურების როლი.

შემუშავდა სამუშაო ჰიპოთეზა, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ სტუდენტთათვის მრავალფეროვანი სტუდენტური სერვისების შეთავაზებასა და თავიანთ ინსტიტუციაში არსებული სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების ეფექტიან პოპულარიზაციასა და მომსახურებას.

სამიზნე ჯგუფი:

- სტუდენტები (გენერალური ერთობლიობის გამოკითხვა);
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (კერძო და საჯარო) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები;
- სტუდენტთა მომსახურების/მხარდაჭერის სტრიქტირული ერთეულების ხელმძღვანელები.

საკვლევი საკითხებს წარმოადგენს:

- უსდ-ების მიერ შეთავაზებული სტუდენტთა მხარდასაჭერი სერვისები და მათი პოპულარიზაციის შესწავლა/ანალიზი;
- სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების სამსახურების/სტრუქტურული ერთეულების მიერ შეთავაზებული სერვისები და მათი მომსახურების ეფექტიანობა;

მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდი და მისი რელევანტურობა:

კვლევის მიზნებიდან და საკვლევი საკითხებიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევა, გამოკითხული იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების გენერალური ერთობლიობა, და ასევე თვისებრივი კვლევა ჩაღრმავებული ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ საგანმანათლებლო დაწესებულებების (კერძო და საჯარო) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სტუდენტთა მომსახურების/მხარდაჭერის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან.

თვისებრივი კვლევის დროს შერჩევის მეთოდით შერჩეულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სამართლებრივი ფორმისა და სტატუსის მიხედვით. კერძოდ, შერჩეულ იქნა თბილისის კერძო და საჯარო, ასევე, კოლეჯის, სასწავლო უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების

წარმომადგენლები. კერძოდ, თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა შეთავაზებულ იქნა შემდეგი უსდ-ებისთვის:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- შპს. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
- შპს. ახალი უმაღლესი სასწავლებელი
- შპს. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- შპს. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ამათგან, გამოგვებმაურა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის, შპს. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის, შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტუდენტური სერვისების მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. შესაბამისად, ინტერვის აღებაც მოხერხდა სწორედ მათთან. შედგა სადისკუსიო გეგმა, რომელიც მოიცავდა პრეინტერვიუს, რომლის დროსაც რესპოდენტებს განემარტათ ინტერვიუს მიზანი. ინტერვიუს დროს რესპოდენტებისთვის შესასწავლი საკითხის ირგვლივ დაისვა ღია კითხვები. კითხვების აგების პრინციპი კვლევის ეტაპებისა და შესაბამისი თავების იდენტური იყო. ინტერვიუირება ჩატარდა 2020 წელს.

§3.1 სტუდენტური მხარდაჭერის სამსახურებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი

მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა მხარდაჭერი სერვისების ადმინისტრირებისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია აღნიშნული მიმართულებით სამსახურის არსებობა და მათი ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფისთვის კვალიფიციური კადრების არსებობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები, როგორც შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ფაქტორის განსაზღვრისას, საინტერესო იყო უშუალოდ მხარდამჭერ სამსახურებთან იტერვიუს ჩატარება.

წინამდებარე პარაგრაფში წარმოდგენილია უსდ-ში სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების მიწოდება/განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების გამოკითხვის შედეგები.

კვლევაში მონაწილე რესპოდენტების პასუხებიდან დასტურდება ჩვენ მიერ წინა თავებში აღნიშნული, **მოსაზრება**, რომ ყველა უსდ-ს განსხვავებულად აქვს ფორმირებული სტუდენტთა მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულების დასახელება თუმცა მისი შინაარსული მხარე ერთნაირია და ის მოიცავს სტუდენტის მხარდაჭერაზე ზრუნვას. ასევე საინტერესო იყო, რომელი და რამდენი სამსახური უზრუნველყოფდა სტუდენტთა მხარდაჭერას შედეგებიდან ჩანს, რომ მინიმუმ ერთი სამსახური მაინც არსებობს დაწესებულებებში, რომლებიც უშუალოდ სტუდენტთა მხარდაჭერას უზრუნველყოფს. *იხ. ცხრილი № 3.1*

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა გამოკითხულებმა რესპოდენტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას შემუშავებული და გაწერილი აქვს აღნიშნული სამსახურის/დეპარტამენტის/განყოფილების/ცენტრის დებულება ან წესი რომლითაც მათი საქმიანობა რეგულირდება.

ცხრილი № 3.1
უსდ-ში არსებული დეპარტამენტის/სამსახურის/განყოფილების დასახელება და სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების მიწოდება/განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი

<i>N</i>	<i>უნივერსიტეტის დასახელება</i>	<i>დეპარტამენტის/სამსახურის/განყოფილების დასახელება</i>	<i>სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების მიწოდება/განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი</i>
1	შპს. აღმოსავლეთ ევროპის	განათლების დეპარტამენტი	განათლების დეპარტამენტი, რომლის დაქვემდებარებაშიცაა სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტური

	უნივერსიტეტი		სერვისების განყოფილება
2	შპს. ახალი უმაღლესი სასწავლებელი	სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი	სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი
3	შპს. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის განყოფილება	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, ფაკულტეტის დეკანატები, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის განყოფილება, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური.

როდესაც საუბარია უსდ-ს ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე საინტერესო იყო გაგვეგო უშუალოდ სამსახურების აზრი, რამდენად აქვთ გააზრებული თავიანთი სამსახურების მნიშვნელობა, ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

შედეგებიდან კი გამოიკვეთა, რომ შიდა ხარისხის უზრუნველსაყოფად სტუდენტთა მხარდაჭერის ეფექტიანი უზრუნველყოფა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. რესპოდენტები ფიქრობენ, რომ: „სტუდენტის მხარდაჭერა არის მთელი კოლექტივის, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პასუხისმგებლობა რაც უპირობოდ აისახება ხარისხის მაღალ დონეზე“, “შიდა ხარისხის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების განხორციელება. ამ პროცესში კი მნიშვნელოვანი როლი აქვს სტუდენტურ სერვისებს“.

უსდ-ს მიერ შეთავაზებული სტუდენტური სერვისები

კითხვაზე თუ რა სტუდენტურ სერვისებს სთავაზობს დაწესებულება? გამოიკვეთა ძირითადი სერვისები, რომლებსაც სთავაზობს უსდ სტუდენტებს, არის კონსულტაციები, ფინანსური მხარდაჭერი პროგრამები, საბიბლიოთეკო სერვისები, დასაქმების პროგრამები, სტაჟირების პროგრამები, გაცვლითი პროგრამები. ეს ის სერვისებია, რომელზეც რესპოდენტების უმრავლესობამ დადებითი პასუხი გაგვცა.

ასევე გამოიკვეთა ის დამატებითი სერვისები, რომელსაც დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტთა მხარდამჭერი მიმართულებით: ელექტრონული სწავლების პლატფორმები; ფსიქოლოგიური მხარდაჭერა; განმავითარებელი ღონისძიებები (საჯარო ლექციები, ვორკშოპები, ტრენინგები, კონფერენციები, სასერტიფიკატო კურსები, ექსკურსიები), სტუდენტური პროექტების დაფინანსება; სოციალურ/საქველმოქმედო ღონისძიებები; სპორტული კლუბები; ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა (გაცვლით პროგრამებთან ერთად, უცხოელი სტუდენტების მხარდასაჭერად აქტივობები-ვიზა, საცხოვრებელი და ა.შ); სამედიცინო მომსახურების სერვისი; სტუდენტთა უფლებების დაცვის სერვისი.

აღინიშნა, რომ სტუდენტთა ინფორმირებისთვის დაწესებულებები სხვადასხვა მხარდამჭერი სერვისების შეთავაზებისას ძირითადად იყენებენ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდს, ტექსტური შეტყობინებებს, ოფიციალური Facebook თუ სხვა პლატფორმას, იშვიათ შემთხვევაში კი გამოიკვეთა საცნობარო დაფა, რომელსაც დაწესებულებები სტუდენტებთან ინფორმაციის მიწოდების პროცესში იყენებენ.

ასევე აღსანიშნავია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ სტუდენტებისთვის შეთავაზებული კომუნიკაციის მრავალფეროვანი შესაძლებლობა, რომელიც გულისხმობს *„სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემას (eeu-el); Ms TEAMS; პირისპირ კონსულტაციებს; ინსტრუქცია/გზამკვლევეებს; კორპორატიულ ელ-ფოსტას; ასევე მიმდინარეობს მუშაობა მობილურ აპლიკაციაზე“* ამდენად მობილური აპლიკაციის შექმნა უნივერსიტეტისგან დადებითი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სტუდენტებთან კიდევ უფრო მჭიდრო კომუნიკაციის დამყარებისთვის, რაც დადებითად აისახება, როგორც სტუდენტზე ისე დაწესებულებაზე.

საინტერესო იყო, დაწესებულებები რა განსხვავებულ სერვისს სთავაზობდნენ სტუდენტებს, და რა იყო მათი „სავიზიტო ბარათი“.

ამ მიმართულებით გამოიკვეთა „აბიტურიენტისა და სტუდენტისათვის შეთავაზებული განსაკუთრებული ფინანსური შეღავათები“ აღნიშნული სერვისის

არსებობა და სოციალური დახმარების გაწევა მეტად მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის. აგრეთვე გამოიკვეთა კიდევ ერთი სოციალური პასუხისმგებლობის პროექტი „უნივერსიტეტს მაისიდან გამომდინარე აქვს მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა, ამიტომ გამოვყოფდი სოციალური მხარდაჭერის სერვისებს და ასევე, ელექტრონული სწავლების პლატფორმებს (განვმარტავ აქვე: სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის ელექტრონული რესურსები მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ამ მიმართულებით განვითარება უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა)“.

ა) თქვენი უსდ დამატებით რა აქტივობებს სთავაზობს სტუდენტებს (კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი აქტივობების - სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი აქტივობები) წახალისებისა და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობის, მხარდაჭერის მიზნით?

გამოკითხულმა რესპოდენტებმა ერთხმად გამოკვეთეს, რომ სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისება მატერიალური თუ სხვადასხვა სახის საჩუქრებით და სიურპრიზებით. „უსდ-ს „სტუდენტური ინიციატივების მხარდასაჭერად, უნივერსიტეტმა შექმნა "სტუდენტური პროექტების მხარდაჭერის წესი" აღნიშნული წესის ფარგლებში სტუდენტთა ინიციატივით წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-სპორტული პროექტები ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან (თითოეული პროექტი მაქსიმუმ 5000 ლარით) და ასევე ფინანსური მხარდაჭერის გარდა, გამოიყოფა მატერიალური ბაზა“

მეორე რესპოდენტი აღნიშნავს, რომ „ხელს ვუწყობთ სტუდენტურ ინიციატივებს, ტარდება სტუდენტური კონფერენციები და გამარჯვებულ გუნდს საინტერესო სიურპრიზები ელის, ტარდება ფოტო კონკურსები, მხიარული შეჯიბრებები, ინტელექტუალური თამაშები, მოქმედებს ფეხბურთის და კალათბურთის გუნდი, აქტიურად ვართ ჩართული სტუდენტურ დღეებში და სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში...“

ბ) რას გვეგმავთ თქვენს უსდ-ში სტუდენტთა მხარდამჭერის სერვისების გასავითარებლად?

რესპოდენტები გვიდასტურებენ, რომ მიმდინარე სერვისები, რომელსაც ისინი სტუდენტებს სთავაზობენ, საჭიროებს კიდევ უფრო დახვეწასა და გაუმჯობესება „ძირითადად ვმუშაობთ არსებული რესურსების განვითარებაზე; განსაკუთრებით ელექტრონული სერვისების განვითარება; საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება; მატერიალური-ტექნიკური ბაზის განვითარება, რაც პირდაპირ უკავშირდება მომდევნო სასწავლო წელს ახალ კამპუსში სწავლის გაგრძელებას; ასევე, ვგეგმავთ, უცხოელი სტუდენტებისთვის მეტი სერვისების შეთავაზებას; სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი უნივერსიტეტის ბაზაზე; მედიცინის მიმართულებით პრაქტიკისა და სტაჟირების ხელშესაწყობად საკუთარი კლინიკის შექმნა; კურსდამთავრებულთა კლუბის ჩამოყალიბება; და ა.შ.“

მუშაობის საჭიროებას გვიდასტურებს მეორე რესპოდენტიც „ფინანსური მხარდამჭერის გაუმჯობესებას, საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას, მეტ პარტნიორ ორგანიზაციასთან ურთიერთობას, უცხო ენების მრავალფეროვან არჩევანს...“

განსხვავებით ერთ-ერთი რესპოდენტი თვლის, რომ სტუდენტთა აქტიური ჩართულობის მიმართულებით არის სამუშაო მის დაწესებულებაში „ვგეგმავთ სტუდენტთა აქტიურად ჩაბმას და მათი აზრის გათვალისწინებას“.

პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა

ა) შეაფასეთ პოტენციურ დამსაქმებლებთან თქვენი თანამშრომლობა; რა გამოწვევების წინაშე დგას უსდ სტუდენტთა დასაქმებასთან დაკავშირებით?

რესპოდენტი გამოყოფს მემორანდუმების სიმრავლეს დაწესებულებაში მისი თქმით „უსდ-ს ოთხმოცზე მეტ სახელმწიფო და კერძო სტრუქტურასთან აქვს

გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაიაროს უფასო პრაქტიკა და სტაჟირება“

ერთ-ერთი რესპოდენტი ხაზს უსვამს დღეს არსებული გამოწვევების რამდენიმე ფაქტორს „გამოწვევა რამდენიმეა: შრომის ბაზრის მოთხოვნასთან პროგრამების შესაბამისობა; კვალიფიციური კადრები და ვაკანსიების რაოდენობა;

უნივერსიტეტი მზარდია, ამ ეტაპზე ჩვენი პროგრამული მიმართულებების და სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად გვყავს საკმარისი რაოდენობით პარტნიორი დამსაქმებელი ორგანიზაციები როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში. თანამშრომლობა მათთან აქტიურია, რაც გამოიხატება სხვადასხვა ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვა, სტუდენტებისთვის სტაჟირების პროგრამები და ა.შ. თუმცა სტაჟირების შემდგომ იმ ორგანიზაციაში დასაქმება მეტწილად სტუდენტის უნარებსა და კვალიფიკაციაზე დამოკიდებული. ამიტომ უნივერსიტეტი ზრუნავს უფრო მეტი მაღალრეიტინგული აბიტურიენტების მოზიდვას და მათი აკადემიური მოსწრება გაუმჯობესებაზე, რათა გაიზარდოს მსგავსი ტიპის ღონისძიებებში სტუდენტების ჩართულობა“.

კიდევ ერთი რესპოდენტი გამოეხმაურა ბაზარზე არსებულ პირობებს „გამოწვევაა ბაზარზე არსებული მცირე მოთხოვნა, რისთვისაც ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა უნდა აჩვენონ მაღალი აკადემიური ცოდნა რომ დაძლიონ კონკურენცია“.

ამდენად, გამოიკვეთა, რომ არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნები გამოწვევის წინაშე აყენებს უნივერსიტეტებს და რესპოდენტები ერთხმად თანხმდებიან რომ საჭიროა შრომის ბაზრისთვის შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადება.

ბ) როგორ უზრუნველყოფს თქვენი უსდ დამსაქმებელთა ჩართვას საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სტაჟირებისა და პრაქტიკის განხორციელებას?

როგორც აღმოჩნდა, დაწესებულებები აქტიურად ცდილობენ დამსაქმებლების მოძიებას და ჩართულობას პროგრამებში „ჩვენს უნივერსიტეტში არის პროგრამული განვითარების კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან/წევრები არიან დამსაქმებლები. ეს კომიტეტი მუშაობს სწორედ პროგრამის შემუშავება-განვითარებაზე. პროგრამებში ჩაშენებულია პრაქტიკული კურსები, სასწავლო პრაქტიკა, რომელსაც პარტნიორ ორგანიზაციებში გადიან. ხორციელდება ერთობლივი ღონისძიებები, ფორუმები და ა.შ.“

კიდევ ერთი რესპოდენტი გვიდასტურებს, რომ „ყველა საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფში ჩართულია დამსაქმებელი ორგანიზაცია და მათ რეკომენდაციებსა და რჩევებს დიდ ყურადღებას ვუთმობთ“.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება

ა) თქვენს უსდ-ში სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად რა მხარდამჭერი მექანიზმები/სერვისები მოქმედებს?

გამოკითხულთა უმრავლესობა გამოყოფს ტრენინგებს და სტაჟირებებს „უსდ-ში მოქმედებს უწყვეტი განათლების ცენტრი, ტარდება საჯარო ლექციები, ტრენინგები, გეგმით გათვალისწინებული საკონსულტაციო საათების გარდა შესაძლებელი კონსულტაციის მიღება.“

ერთი რესპოდენტი აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად კითხვარის ფარგლებში განხილული „ყველა სერვისი, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, ემსახურება პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას“.

სტუდენტთა კმაყოფილების დონის შეფასება

ა) როგორ/რა მექანიზმებით ფასდება თქვენს უსდ-ში მხარდამჭერი სერვისების შესახებ სტუდენტთა კმაყოფილების დონე?

რესპოდენტები აღნიშნულ კითხვაზე ერთხმად გვპასუხობენ, რომ პერიოდულად ხდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ჩატარება კითხვარების მეშვეობით.

ერთ-ერთმა რესპოდენტი აღნიშნავს, რომ მათ დაწესებულებაში სტუდენტთა კმაყოფილების დონის გასაგებად ხდება ფოკუს-ჯგუფთან გასაუბრებაც *„სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი, განხორციელებულ ღონისძიებებზე უკუკავშირები (კითხვარის მეშვეობით); ფოკუს-ჯგუფებთან გასაუბრება“*.

სტუდენტის სოციალური მდგომარეობა და მხარდაჭერა

ა) თქვენს უსდ-ში რამდენად არის გათვალისწინებული სტუდენტის სოციალური მდგომარეობა და რა მხარდამჭერი მექანიზმები არსებობს ამისთვის? (მაგ., სტიპენდია, სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სქემა და სხვა შეღავათები)

რესპოდენტებმა გვიპასუხეს, რომ *„მოქმედებს ორი სახის სტიპენდია, სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა, მოწყვლადი ჯგუფების დახმარების შიდა მექანიზმი, ფინანსური შეღავათები, უფასო ტრანსპორტი, ექიმის უფასო მომსახურება...“*

„უნივერსიტეტს აქვს " სტიპენდიის გაცემისა და წახალისების წესი" და ამ წესით განსაზღვრულია სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების დაფინანსება: სასწავლო ვაუჩერი, სტიპენდია, ინდივიდუალური გადახდის სისტემა;“

„უნივერსიტეტში არის სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სქემა, ასევე არის სტიპენდია და ყველანაირად ითვალისწინებს უნივერსიტეტი სტუდენტის სოციალურ მდგომარეობას.“

როგორც აღმოჩნდა დაწესებულებები დიდ ყურადღებას აქცევენ სტუდენტის სოციალურ მდგომარეობას რესპოდენტების პასუხებიდან ჩანს, რომ სტუდენტებს აქვთ საშუალება როგორც სტიპენდიის მიღების, ისე სხვა უფასო მომსახურების მიღების, ვაუჩერის თუ უფასო ტრანსპორტით სარგებლობა ასევე აღსანიშნავია სწავლის საფასურის მოქნილი და ინდივიდუალური გადახდის სისტემა და ფინანსური შეღავათები.

§3.2 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი

წინამდებარე პარაგრაფში წარმოდგენილია უსდ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგები.

ინტერვიუში მონაწილე რესპოდენტებს ვკითხეთ თუ არსებობდა მათ უმაღლეს სასწავლებელში სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი, რომლებიც პასუხისმგებელნი, ჩართულნი არიან უსდ-ში სტუდენტური სერვისების მიწოდებასა და განვითარებაზე, აღნიშნულ კითხვაზე მათ ერთხმად გვიპასუხეს რომ მათ ინსტიტუციაში არსებობდა ასეთი სამსახური თუ დეპარტამენტი. *იხ. ცხრილი № 3.2*

კითხვაზე თუ, როგორ შეაფასებდნენ თავიანთ დაწესებულებებში არსებული სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების მიწოდებაზე/განვითარებაზე პასუხისმგებელი სამსახურების მუშაობას?

მათი შეფასება დადებითი მივიღეთ ისინი თვლიან, რომ „საკმაოდ მაღალ დონეზე“ ასრულებენ არსებული სამსახურები მუშაობს „დადებითად, საკმაოდ აქტიური კომუნიკაციაა დამყარებული სამსახურსა და მიზნობრივ აუდიტორიას შორის“

ცხრილი № 3.2
სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი, რომლებიც პასუხისმგებელნი/ჩართულნი არიან უსდ-ში სტუდენტური სერვისების მიწოდებასა და განვითარებაზე

№	უნივერსიტეტის დასახელება	სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი, რომლებიც პასუხისმგებელნი/ჩართულნი არიან თქვენს უსდ-ში სტუდენტური სერვისების მიწოდებასა და განვითარებაზე
1	შპს. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	განათლების დეპარტამენტი და მისი ქვესტრუქტურული ერთეული: სასწავლო

		პროცესის მართვის და სტუდენტური სერვისების განყოფილება. ასევე თითქმის ყველა ერთეული აწოდებს სტუდენტებს სხვადასხვა სერვისს
2	შპს. ახალი უმაღლესი სასწავლებელი	სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური და მასთან ერთად, ძირითადად საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური
3	შპს. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	სტუდენტებთან ურთიერთობებისა და კარიერის მართვის სამსახური

სტუდენტური სერვისები

ა) თქვენს უსდ-ში რა ტიპის მხარდამჭერ სერვისებს სთავაზობთ სტუდენტებს?

რესპოდენტებმა ძირითადად გამოყვეს „სტაჟირება; დასაქმება; საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა; ტრენინგები; საჯარო ლექციები და სხვა“.

ასევე დამატებით რესპოდენტმა გამოყო ისეთი საკითხები, როგორცაა „ადგილობრივ სამთავრობო/არასამთავრობო პროექტებში მონაწილეობის ინფორმირებულობა და მხარდაჭერა; ქვეყნის მასშტაბით საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა; პრაქტიკისა და სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობა/მხარდაჭერა; დასაქმებასა და კარიერულ ზრდაში მხარდაჭერა და სხვ.“

ერთ-ერთმა რესპოდენტმა ყურადღება გაამახვილა ფსიქოლოგიური მხარდაჭერებსა და სტუდენტთა უფლებების დაცვის მხარდაჭერაზე „კარიერული განვითარება და სტაჟირება, ფინანსური მხარდაჭერა, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, სტუდენტთა უფლებების დაცვის მხარდაჭერა, საბიბლიოთეკო რესურსების, კვლევითი აქტივობებისა და სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა, სხვადასხვა ღონისძიებები“

ბ) თქვენს უსდ-ში არსებული მხარდამჭერი სერვისებიდან ყველაზე მეტად რომელ სერვისს იყენებენ სტუდენტები და როგორია ზოგადად მათი ჩართულობა

აღნიშნული მიმართულების გამოიკვეთა, რომ სტუდენტების მიერ სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობა საშუალოა, რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ „დასაქმება და სტაჟირება, ტრენინგები სა საჯარო ლექციები; ჩართულობა - საშუალო.“

„ყველა ზემოდ ჩამოთვლილი აქტიურად გამოიყენება და დიდი ინტერესით კვიდებიან სტუდენტები. ჩართულობა 60-70%-ია. ასევე, აქტიურად გამოიყენება სტუდენტური თვითმმართველობის მიერ შემოთავაზებული აქტივობები, სადაც უსდ-ს მხარდაჭერა მაქსიმალურია.“

ხოლო ერთი რესპოდენტი გამოყოფს „ფინანსური მხარდაჭერის სერვისს“ რომელსაც ყველაზე მეტად იყენებენ სტუდენტები.

გ) რა მექანიზმებით/ფორმით უზრუნველყოფთ მხარდაჭერის სერვისების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას?

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ის მექანიზმები და ფორმები, რომლებსაც სამსახურები სტუდენტებთან კომუნიკაციის და ინფორმაციის მიწოდების დროს იყენებენ ესენია: ვებ-გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური ქსელი, სატელეფონო საუბარი, სტუდენტთა ბაზა, პირდაპირი კომუნიკაცია, „სმს“ შეტყობინებებით, უნივერსიტეტის საინფორმაციო გვერდზე ინფორმაციის განთავსებით, სტენდებზე განაცხადები და უნივერსიტეტის სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმები.

სტუდენტური სერვისები, როგორც შიდა ხარისხის უზრუნველყოფა

ა) თქვენი აზრით, რა გავლენა/როლი აქვს სტუდენტთა მხარდამჭერ სერვისებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფაზე?

რესპოდენტები თანხმდებიან, რომ „სტუდენტური სერვისები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია“

ერთი რესპოდენტი თვლის, რომ სტუდენტური მხარდამჭერი სერვისები გავლენა შიდა ხარისხის უზრუნველყოფაზე არის ის, რომ „ამაღლებს სტუდენტთა კმაყოფილების დონეს“

ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ „მოტივაცია უმთავრესია, რომელიც პირდაპირ კავშირშია ხარისხის უზრუნველყოფაზე. ამდენად, თუ აღნიშნული სერვისებით სტუდენტი მოტივირებულია (ეს კი უსდ-ამ უნდა შეძლოს, ისე მოხდეს ინფორმაციის მიწოდება და მათი ღონისძიებებში მოზიდვა, რომ ისინი მოტივირებულები იყვნენ), შედეგიც რასაკვირველია სახეზე იქნება.“

ინტერვიუს დროს რესპოდენტებს ვკითხეთ ატარებდნენ თუ არა შიდა საუნივერსიტეტო კვლევას/კვლევებს სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების კმაყოფილების შესახებ? რესპოდენტებმა გვიპასუხეს, რომ ატარებდნენ მსგავს კვლევებს ყოველსემესტრულად, ხოლო ერთმა რესპოდენტმა დაგვიდასტურა, რომ ყოველწლიურად ტარდება მათ დაწესებულებაში აღნიშნული კვლევა.

ასევე მათ აღნიშნეს, რომ კვლევაში მონაწილეობის მაჩვენებელი და სტუდენტთა ჩართულობა 50% /60% /70%.

უსდ-ების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების შეფასებისას რესპოდენტების თქმით დადებითი სურათი იკვეთება ისინი აღნიშნავენ, რომ „ძირითადად კმაყოფილება მაღალია, ძირითადად აქტივობების მრავალფეროვნების გაუმჯობესებაზე მახვილდება მხოლოდ ყურადღება. არსებული სერვისების კმაყოფილება მაღალია.“ კიდევ ერთი რესპოდენტის აღნიშნავს „სტუდენტები არსებული მხარდამჭერის სერვისებით კმაყოფილნი არიან და სულ უფრო მეტი იდეები ჩნდება და შემოთავაზებები კეთდება მათ მიერ“.

არსებული სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმების მრავალფეროვნებითა და ხარისხით სტუდენტების კმაყოფილების დონის შეფასებისას რესპოდენტების აღნიშნავენ, რომ ჩატარებული კვლევებიდან ფიქსირდება სტუდენტების კმაყოფილების მაღალი დონე ერთმა რესპოდენტმა კი გვიპასუხა, რომ „ხარისხით კმაყოფილება მაღალია თუმცა მრავალფეროვნების გაუმჯობესებაზე მიუთითებენ,

სწორედ აქედან გამომდინარე წელს კიდევ გაიზარდა სერვისები და შეთავაზებისას ყურადღება უკვე მახვილდება ყველა იმ დარგის/სფეროს დაფარვაზე, რა მიმართულებებიც აქვს უნივერსიტეტს.“

კითხვაზე თუ როგორ შეაფასებდით ზოგადად საქართველოში სტუდენტურ მხარდამჭერ სერვისებს და მათ მიწოდებას? როგორ ფიქრობთ, რა გამოწვევების წინაშე დგას უსდ-ები ამ მიმართულებით? რესპოდენტები ერთხმად თანხმდებიან, რომ სტუდენტთა მხარდამჭერა მუდმივად საჭიროებს დახვეწას „სტუდენტის როლი ძლიერდება, შესაბამისად გამოწვევებიც იმატებს, საჭიროა მხარდამჭერი სერვისების და მათი მიწოდების მუდმივი სრულყოფა და სტუდენტთა მაქსიმალურ ჩართულობაზე ზრუნვა“

მეორე რესპოდენტი ხაზს უსვამს სტუდენტთა ჩართულობის ნაკლებობას „ვფიქრობ, ჯერჯერობით აკლია სისტემურობა და სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა გამოწვევაა“.

სტუდენტური სერვისების მიმართულებით გამოკითხვის შედეგებიდან დგინდება, რომ დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად უზრუნველყოს სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების ფართო სპექტრის შეთავაზება, ისინი მუშაობენ ამ მიმართულებით სიახლე შესთავაზონ თავიანთ სტუდენტებს და უზრუნველყონ მათი უფლებების დაცვა, ასევე დაწესებულებები იყენებენ სტუდენტებთან სხვადასხვა სახის მეთოდებს, თუმცა როგორც გამოკითხვის შედეგმა გვაჩვენა სტუდენტთა კვლევაში მონაწილეობის მაჩვენებელი და ჩართულობა საშუალოზე მეტია, რაც შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, თუმცა დაწესებულებას მაინც სჭირდება მუშაობა ამ მიმართულებით რომ შედეგი დამაკმაყოფილებელზე მეტი ქონდეს და იდენტიფიცირდეს გამოსასწორებელი საკითხები.

§3.3 სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი


კვლევის მეთოდოლოგია და მისი რელევანტურობა:

კვლევის მიზნებიდან და საკვლევი საკითხებიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევა, გამოკითხულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების გენერალური ერთობლიობა. კერძოდ, კითხვარი დაეგზავნათ უსდ-ებს სტუდენტებში გასავრცელებლად და ამასთანავე, კითხვარის გავრცელების მიზნით გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ელექტრონული რესურსები, სოციალური ჯგუფები.

შემუშავდა კითხვარი, Google Forms-ის პლატფორმის გამოყენებით, კითხვარის ფარგლებში რესპოდენტებს განემარტათ ინტერვიუს მიზანი. რესპოდენტებისთვის შესასწავლი საკითხის ირგვლივ დაისვა კითხვები. გამოკითხვა ჩატარდა 2020 წელს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 142-მა რესპოდენტმა, პროცენტული გადანაწილება იხ. დიაგრამა № 3.1 გამოხმაურების მაჩვენებელში დომინირებს კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აქტიურობა (64.1%).

შედეგების მაჩვენებლით იკვეთება რომ რესპოდენტების უმრავლესობა (73.2%) იყო მდებარეობითი სქესის, აქტიური სტატუსის მქონე (97.9%) ბაკალავრის საფეხურის (68.3%) სტუდენტი ასევე კვლევაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები მათი პროცენტული რაოდენობა შეადგენს (28.2 %).


დიაგრამა № 3.1 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება



სტუდენტური სერვისები


მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა (74.6%) ამბობს, რომ სმენიათ უნივერსიტეტში სტუდენტების მხარდამჭერი სერვისების არსებობის შესახებ თუმცა აღსანიშნავია, რომ არსებული სერვისების ცნობადობის გაუმჯობესების მიმართულებით დაწესებულებებს მუშაობა მართებს რადგან რესპოდენტების (15.5%) უჭირს პასუხის გაცემა, ამით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათ არ სმენია აღნიშნული სამსახურების არსებობის შესახებ უფრო მეტიც (9.9%) საერთოდ არ სმენიათ, იხ. დიაგრამა № 3.2 რაც ამყარებს ზემოთაღნიშნულ მოსაზრებას, რომ აღნიშნული სერვისების არსებობის პოპულარიზაცია უნდა მოხდეს უსდ-ებში.

დიაგრამა № 3.2 გსმენიათ თუ არა თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტების მხარდამჭერი სერვისების არსებობის შესახებ ?



აღმოჩნდა, რომ სტუდენტების უმრავლესობას (69.7%) სმენია სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით სამსახურის/ების არსებობის შესახებ, იხ. დიაგრამა № 3.3 რაც ასევე უნივერსიტეტებისთვის გამოწვევად რჩება და საჭიროებს აღნიშნული სამსახურების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობას.

დიაგრამა № 3.3 გსმენიათ თუ არა თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით სამსახურის/ების არსებობის შესახებ?




კითხვაზე თუ, რამდენად ეფექტიანად მუშაობენ თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით შექმნილი სამსახური/ები?

რესპოდენტების უმრავლესობა ჯამში (82,4%) დადებითად პასუხობს აღნიშნული სამსახურების მუშაობას და შეთავაზებულ სერვისებს, თუმცა აქედან 47

რესპოდენტს (33,1%) ინფორმაცია აქვს შეთავაზებული სერვისების შესახებ, მაგრამ მონაწილეობა არცერთხელ არ მიუღიათ. იხ. დიაგრამა № 3.4

დიაგრამა № 3.4 კითხვაზე თუ, რამდენად ეფექტიანად მუშაობენ თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით შექმნილი სამსახური/ები?



გამოკითხულთა უმრავლესობას ჯამში (59.1%) უჭირს პასუხის გაცემა შექმნილი სამსახური/ების მიერ შეთავაზებული სხვადასხვა აქტივობების კმაყოფილების შესახებ, შეიძლება აღინიშნოს რომ ეს ინფორმირებულობის ნაკლებობას მიუნიშნებს, რესპოდენტების ნაწილი („დალიან კმაყოფილი“ „უფრო კმაყოფილი“) (40.8%) კი გამოხატავს დადებითად განწყობას. თუ შევაჯამებთ სტუდენტებს, რომლებსაც უჭირთ პასუხის გაცემა და უკმაყოფილოები არიან სამსახურების მიერ შეთავაზებული აქტივობებით ეს მაჩვენებელი დასაფიქრებელია და დაწესებულებებს უფრო მეტი აქტიურობისკენ მიუთითებს. იხ. დიაგრამა № 3.5


დიაგრამა № 3.5 რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით შექმნილი სამსახური/ების მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა აქტივობებით ?



რესპოდენტებმა გამოყვეს სერვისები, რომლითაც ყველაზე ხშირად სარგებლობენ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში ყველაზე პოპულარული სერვისებია, საბიბლიოთეკო რესურსები (65.5%) და გაცვლითი პროგრამები (64.1%). რესპოდენტებში შედარებით ნაკლები გამოხმაურება ჰქონდა დაწესებულების მიერ შეთავაზებული აქტივობებს, კონსულტაციებით (48.6%) რესპოდენტი სარგებლობს, ფინანსური მხარდაჭერის პროგრამებში (44.4) სტუდენტია ჩართული, დასაქმების პროგრამების (54.2%) და სტაჟირების (47.9%) პროგრამებს რესპოდენტი გამოყოფს. აღმოჩნდა, რომ 23 რესპოდენტს (18.30%) არ აქვს ინფორმაცია ზემოთჩამოთვლილი სერვისების არსებობაზე. იხ. დიაგრამა № 3.6

დიაგრამა № 3.6 რომელი სტუდენტური სერვისები არსებობს თქვენს უნივერსიტეტში


რომელი სტუდენტური სერვისები არსებობს თქვენს უნივერსიტეტში (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი და ჩაწეროთ სხვა სერვისებიც)




კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული ტრენინგები და სხვა აქტივობები ეს ის სერვისებია, რომლებზეც სტუდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ყველაზე ხშირად სარგებლობენ (37.3%). დასაფიქრებელია ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა დიდ ნაწილს (25.4%) არ უსარგებლია აღნიშნული სერვისებით, ხმების გადანაწილებით ეს მაჩვენებელი მეტია სხვა ჩამოთვლილ სერვისებზე ისეთზე, როგორცაა მაგ. დასაქმების ფორუმები. *იხ. დიაგრამა № 3.7*

აქედან გამომდინარე ჩნდება განწყობა, რომ სტუდენტთა ჩართულობის და დაინტერესების ნაწილში დაწესებულებებს მეტი მუშაობა მართებთ. ეს ასევე დასტურდება სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მაჩვენებელით (*იხ. დიაგრამა № 3.8*). გამოიკვეთა, რომ რესპოდენტების უმრავლესობა არ არის ჩართული საუნივერსიტეტო აქტივობებში.

დიაგრამა № 3.7 კარიერული მხარდაჭერის რა სერვისებით სარგებლობა




დიაგრამა № 3.8 სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მაჩვენებელი




საინტერესო იყო გაგვეგო, თუ რა წყაროებიდან იღებდნენ სტუდენტები ინფორმაციას. ხმების გადანაწილებით აღმოჩნდა, რომ რესპოდენტების უმრავლესობა (45,8%) უნივერსიტეტის ვებ-გვერდს ადევნებს თვალს, ხოლო თანაბრად გადანაწილდა პროცენტული წილი სოციალური ქსელების (Facebook თუ სხვა პლატფორმები) (21.1%) და უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურების (21.8%) მეშვეობით სტუდენტთა ინფორმირების მაჩვენებელი. *იხ. დიაგრამა № 3.9*

დიაგრამა № 3.9 რა წყაროდან იღებთ ინფორმაციას კარიერული მხარდაჭერის სერვისების შესახებ?




საინტერესო იყო სტუდენტების კმაყოფილების დონის განსაზღვრა სასწავლო პროცესთან მიმართებაში. მათ ვთხოვეთ, გამოეხატათ რამდენად კმაყოფილები იყვნენ სასწავლებლის სასწავლო პროცესის სხვადასხვა ასპექტით, გამოკითხვამ აჩვენა (იხ. დიაგრამა № 3.10), რომ რესპონდენტების მიერ ძირითადად დადებითად არის შეფასებული.

დიაგრამა № 3. 10 სტუდენტთა კმაყოფილება სასწავლო პროცესის მიმართულებით



რესპოდენტები ერთხმად თანხმდებიან, რომ სტუდენტური მხარდამჭერი ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფისთვის. (იხ. დიაგრამა № 3.11)


დიაგრამა № 3.11 თქვენი აზრით, სტუდენტური მხარდამჭერი ფაქტორი რამდენად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფისთვის?



სტუდენტებს შევთავაზეთ დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა შეიძლებოდა გაუმჯობესებინა სასწავლებელს იმისთვის, რომ მათი კმაყოფილება გაზრდილიყო შედეგებიდან (იხ. დიაგრამა № 3.12) გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, მათ შორის ყველაზე მეტმა სტუდენტმა გამოსასწორებელ მიმართულებად დაასახელა დასაქმების ხელშეწყობა, ასევე თითქმის თანასწორი თანაფარდობით სტუდენტების მიერ დასახელებულ იქნა სასწავლებლის ინფრასტრუქტურის, ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება, სასწავლებლის იმიჯზე ზრუნვა და სტიპენდიები.

საინტერესო იქნება აღნიშნული მიმართულებების გაუმჯობესების შედეგად რამდენად შეიცვლება სტუდენტთა ჩართულობის საკითხი საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან მიმართებაში.

დიაგრამა № 3.12 სტუდენტთა კმაყოფილების გაზრდა




რესპოდენტებს ვთხოვეთ გამოეხატათ თავიანთი მოსაზრება გარკვეული სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით გამოკითხვის შედეგად ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა, რომ რესპოდენტების ძირითადი უმრავლესობა „სრულად ეთანხმება“ მოყვანილ წინადადებებს დადებითობის მაჩვენებელი 53.5%-72.5% მერყეობს, ამასთან, „არ ვეთანხმები“ „ნაწილობრივ ვეთანხმები“ „მიჭირს პასუხის გაცემა 7.0%-21.1% მერყეობს, რაც, შეიძლება ითქვას რომ, პოზიტიური მაჩვენებელია (იხ. დიაგრამა 3.13).

ჩვენ მიერ წარმოდგენილ დიაგრამაში (იხ. დიაგრამა № 3.8) სტუდენტთა სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალი იყო. გამოიკვეთა, რომ სტუდენტების უმრავლესობა არ არის ჩართული სასწავლებლის მიერ შეთავაზებულ აქტივობებში (იხ. დიაგრამა № 3.13), რის საფუძველზე მყარდება მოსაზრება, რომ დაწესებულებების მზაობა


სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი სტუდენტური სერვისები შესთავაზონ დიდი; იკვეთება პრობლემა, რომელსაც ისევ და ისევ სტუდენტთა დაინტერესებასთან მივყავართ. მათი პასუხებით დგინდება, რომ დაწესებულებები აქტიურად სთავაზობენ სხვადასხვა მიმართულებით მხარდამჭერ სერვისებს, თუმცა ამ სერვისებით დაინტერესებულთა საერთო სურათით დაბალია.

დიაგრამა № 3.13 სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ



რესპონდენტებს ვთხოვეთ 10-ბალიან სკალაზე სკალაზე (სადაც 1 ყველაზე უარყოფითია 10 ყველაზე დადებითი) შეეფასებინათ თავიანთი უსდ-ს სტუდენტთა მხარდამჭერ სერვისები. გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა კმაყოფილების დონე მაღალია და ძირითადად დადებითად არის შეფასებული, რესპონდენტების მიერ შეფასებული მხარდამჭერი სერვისების საშუალო ქულა 8,1-ით შეფასდა, რაც საკმაოდ დადებითი მაჩვენებელია. (იხ. დიაგრამა № 3.14)

დიაგრამა № 3.14 როგორ შეაფასებდით 10 ბალოან სკალაზე (სადაც 1 ყველაზე უარყოფითია 10 ყველაზე დადებითი) თქვენი უსდ-ს სტუდენტთა მხარდამჭერ სერვისებს?



კითხვარის ბოლოს რესპოდენტებს მივეცით საშუალება გამოეხატათ მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა დამატებით სერვისს ისურვებდნენ სასწავლებლის მხრიდან. (იხ. ცხრილი № 3.3)

გამოიკვეთა სტუდენტების ცალკეული მოსაზრებები ისინი ძირითადად საუბრობენ არსებული სერვისების დახვეწაზე, გამახვილდა ყურადღება ფინანსური მხარდამჭერის სერვისის, კერძოდ სწავლის საფასურის სტუდენტზე მეტად მორგების მიმართულებით. ცალკეულ შემთხვევებში ასევე გამოიკვეთა პრაქტიკის, დასაქმების, უფასო ტრენინგების და გაცვლითი პროგრამების ნაკლებობა. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი რესპოდენტს ინფორმაციის ნაკლებობის განცდა აქვს.

საინტერესო აღმოჩნდა სტუდენტის მიერ საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისას წარმოქმნილი პრობლემა, ამიტომ დაწესებულებებმა კარგი იქნება იმუშაონ მსგავსი საკითხების მოგვარებაზე.

საინტერესო იყო სტუდენტის მიერ დაფიქსირებული მოსაზრება დამსაქმებლებთან არაფორმალური შეხვედრების მიმართულებით, შესაძლოა აღნიშნული შესაძლებლობა სტუდენტებისთვის მეტი მოტივაციის მიმცემი გახდეს.

ასევე, რამდენიმე სტუდენტმა აღნიშნა, რომ არსებული სერვისებით კმაყოფილი იყო რაც თავისთავად დადებითი მაჩვენებელია დაწესებულებისთვის.

ცხრილი № 3.3

სტუდენტთა გამოხმაურებები

სწავლის საფასურის გადახდის უფრო მოქნილი სისტემა
არსებული სერვისებით კმაყოფილი ვარ
სპორტ დარბაზს!! მეტ სტუდენტურ აქტივობებს!!
ვისურვებდი ჰქონდეს დამსაქმებლებთან არაფორმალური შეხვედრები, კერძოდ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, სადაც სტუდენტები ჩართულები იქნებიან.
ვისურვებდი არსებული სერვისების დახვეწას და ბიბლიოთეკის სერვისის ხელმისაწვდომობას. ხშირად ვერ ვსარგებლობდი ბიბლიოთეკით, მხვდებოდა დაკეტილი. რამდენჯერმე მთხოვეს დამეტოვებინა ბიბლიოთეკა გამოცდამდე რამდენიმე საათით ადრე, რადგან თანამშრომელს სხვა საქმეზე იბარებდნენ. ეს არის ძალიან არასერიოზული და უპატივცემულო დამოკიდებულება უნივერსიტეტის მხრიდან საკუთარი სტუდენტების მიმართ.
გაცვლითი პროგრამები
პრაქტიკებს და უფასო ტრენინგებს
დასაქმების და კარიერული წინსვლის მეტი შესაძლებლობა.
სტუდენტების ინფორმირებულობას
მეტი აქტივობის ჩატარებას. არა მხოლოდ. უნივერსიტეტის შიდა მხარეს არამედ. მის ფარგლებს გარეთაც და. მეტი სხვადასხვა. ექსკურსიის დაგეგმა კიდევ

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევებით დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ

სტუდენტთათვის მრავალფეროვანი სტუდენტური სერვისების შეთავაზებასა და თავიანთ ინსტიტუციაში არსებული სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების ეფექტიან პოპულარიზაციასა და მომსახურებას.

დასკვნები

1. დოკუმენტების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტის ჩართულობა და მათი როლი საგანმანათლებლო სივრცეში მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც შიდა ისე გარე ხარისხის უზრუნველყოფაში. ჩვენ მიერ ჩატარებული უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთ, რომ დაწესებულებები აღიარებენ სტუდენტის მნიშვნელობას უსდ-ს ხარისხიანი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მხარედ ისინი ერთხმად თანხმდებიან, რომ სტუდენტის როლი და ჩართულობა უმნიშვნელოვანესია როგორც დაწესებულებისთვის, ისე სტუდენტისთვის. ჩვენს მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით სტუდენტი მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული უსდ-ს საქმიანობაში.
2. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად (ESG 2015), კარგი უმაღლესი საგანმანათლებლო გამოცდილებისა და სწავლაში მხარდამჭერის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულება ვალდებულია სტუდენტებს რესურსების ფართო სპექტრი შეთავაზოს. უსდ-ს კონტექსტიდან გამომდინარე მხარდამჭერი აქტივობებისა და საშუალებების ორგანიზება სხვადასხვა გზებითაა შესაძლებელი. ამასთან, ხარისხის შიდა უზრუნველყოფამ უნდა დაადასტუროს, რომ ყველა რესურსი მიზნის შესაბამისი და ხელმისაწვდომია და სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული სერვისების შესახებ. კვლევაში გამოიკვეთა რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიერ ტარდება მხარდამჭერი სერვისების კმაყოფილების კვლევები. დაწესებულება ცდილობს

უზრუნველყოფს მრავალფეროვანი მხარდამჭერი სერვისების მიწოდება სტუდენტებისთვის, თუმცა სტუდენტთა გამოკითხვის დროს მივიღეთ სურათი, რომ სტუდენტები ვერ იღებენ სათანადო ინფორმაციას, ხარისხების მიერ მხარდამჭერი სამსახურის „საკმაოდ მაღალ დონეზე“ შეფასების მიუხედავად, არსებული სერვისების ინფორმირებულობის მიმართულებით ჩნდება ეჭვი, რომ სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახურები საჭიროებს გაძლიერებას. ასევე, მოსაზრებას ამყარებს ვებ-გვერდების შესწავლის ანალიზი, სადაც გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტები ცდილობენ სიახლე შესთავაზონ სტუდენტებს, ქმნიან სტუდენტებისთვის სხვადასხვა კლუბებს, ცენტრებს თუ სამსახურებს, რაც ძალიან კარგია, თუმცა აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების აქტიური მუშაობა ვებ-გვერდებზე ნაკლებად აღქმადია, ჭირს ნავიგაცია, რადგან სრულად და კატეგორიზებულად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია. გათვალისწინებით იმისა რომ სტუდენტების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტების ძირითადი ნაწილი ვებ-გვერდის მეშვეობით ეცნობა სიახლეებს.

3. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და მათი უფლებების დაცვა. სტუდენტთა გამოკითხვის ფარგლებში დადასტურდა, რომ სტუდენტთა უფლებების დაცვის მიმართულებით სტუდენტებს განემარტათ სწავლის პროცესში არსებული იურიდიული საკითხები მაგ. ხელშეკრულების შინაარსი და სხვა. თუმცა, როგორც ავტორიზაციის დასკვნების კვლევისას გამოიკვეთა კარგი პრაქტიკაა, თუ დაწესებულებს შექმნილი აქვთ „სტუდენტთა ომბუდსმენის ოფისი“ .
4. განათლების სისტემა ჯერ ისევ დახვეწის პროცესშია, ამ პროცესში კი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცესები და მონიტორინგები, რომელიც კიდევ უფრო უზიარებს უნივერსიტეტებს მრავალი ინოვაცია და სიახლე შესთავაზონ უნივერსიტეტებმა სტუდენტებს და შეუქმნან მართლაც, რომ ადაპტირებული გარემო. ავტორიზაციის დასკვნების გაცნობის პროცესში

გამოიკვეთა სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით გასაუმჯობესებელი გარემოებები, ასევე შევხვდით უსდ-ებში სხვადასხვა სახის დარღვევებს, ისეთ დოკუმენტებს წესებს/დებულებებს, რომლებიც არსებობს, მაგრამ პრაქტიკაში ნაკლებად იყენებენ. არსებობს სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახური, თუმცა მისი ფუნქციონირება დასახვეწი და გაუმართავია, ასევე დღეს ავტორიზებული უსდ-ებიდან ჩანს, რომ ყველა უნივერსიტეტს არ აქვს დამსაქმებლების ბაზა, რომელიც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია სტუდენტთა დასაქმებისთვის და კარიერული განვითარებისათვის თუმცა აღნიშნული ბაზების სათანადო ფუნქციონირება დასახვეწია.

5. ყველა უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა თვითმართველობა და თვითმართველობის დებულება, ასევე სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების სამსახური. უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული სამსახურის სახელები განსხვავებულად არის ინტერპრეტირებული უსდ-ებში, თუმცა შინაარსული მხარე უმეტეს შემთხვევაში ერთია და ის წარმოადგენს სტუდენტთა მომსახურეობას და მხარდამჭერ სამსახურს.
6. როგორც აღვნიშნეთ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში გაწევრიანებამ საქართველოს განათლების სისტემა საგრძნობლად შეცვალა, აღსანიშნავია ისიც თუ რამდენად დადებითად აისახა ცვლილებები საგანმანათლებლო სისტემაზე, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ ბევრი რეფორმა არის გასატარებელი სისტემის კიდევ უფრო დახვეწისთვის. უცხოური მაგალითის გაზიარება და ქართულ საგანმანათლებლო რეალობაზე ადეკვატურად მორგება კიდევ უფრო დაახლოვებს სისტემას, ევროპული სივრცის პრინციპებთან. მნიშვნელოვანია ისეთი მხარდამჭერი სერვისის შეთავაზება სტუდენტთათვის, რომლებიც დაეხმარება მათ და აკადემიურ გარემოში თავს დაცულად აგრძნობინებს. უნივერსიტეტებმა კარგი იქნება უფრო ეფექტური ნაბიჯები გადადგან ამ მიმართულებით. ასევე საინტერესო იქნება უნივერსიტეტების მიერ, „სტუდენტური ბლოგის“ დანერგვა. აღნიშნული სერვისი სტუდენტებისთვის საინტერესო და

მოტივაციის ასამაღლებლად კარგი წამოწყება იქნება, რადგან ისინი ინტერესის შესაბამისად გამოაქვეყნებენ თავიანთ სტატიებს და მოსაზრებებს გაუზიარებენ სხვა დაინტერესებულ სტუდენტებს. აღნიშნულის ხილვა საქართველოში მოქმედ უსდ-ების ვებ-გვერდებზე საინტერესო იქნება.

7. სტუდენტების ჩართულობა გულისხმობს სტუდენტთა როლის გაზრდას უმაღლესი განათლების როგორც შიდა, ასევე გარე ხარისხის უზრუნველყოფაში. რესპოდენტები, როგორც სტრუქტურული ერთეულები ისე სტუდენტები ერთხმად თანხმდებიან, რომ *„სტუდენტური სერვისები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია“* ხარისხის უზრუნველსაყოფად. რესპოდენტები ფიქრობენ, რომ: *„სტუდენტის მხარდაჭერა არის მთელი კოლექტივის, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პასუხისმგებლობა რაც უპირობოდ აისახება ხარისხის მაღალ დონეზე“*, *“შიდა ხარისხის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების განხორციელება. ამ პროცესში კი მნიშვნელოვანი როლი აქვს სტუდენტურ სერვისებს“*. ამდენად უსდ-ს დეპარტამენტები, სკოლები, ფაკულტეტები და სხვა ორგანიზაციული ერთეულები, ისევე როგორც დაწესებულების ხელმძღვანელობა, თითოეული თანამშრომელი და სტუდენტები, პასუხისმგებელი არიან თავიანთი ინსტიტუციის შიდა ხარისხის უზრუნველყოფაზე.
8. როგორც კვლევისას დავინახეთ, დაწესებულებები დიდ ყურადღებას აქცევენ სტუდენტის სოციალურ მდგომარეობას. რესპოდენტების პასუხებიდან ჩანს, რომ სტუდენტებს აქვთ საშუალება როგორც სტიპენდიის მიღების, ისე სხვა უფასო მომსახურების მიღების, ვაუჩერის თუ უფასო ტრანსპორტით სარგებლობა ასევე აღსანიშნავია სწავლის საფასურის მოქნილი და ინდივიდუალური გადახდის სისტემა და ფინანსური შეღავათები. ამასთან სტუდენტთა გამოკითხვის ფარგლებში გამოიკვეთა

ფინანსური მხარდაჭერის მიმართულებით სტუდენტთა კმაყოფილება, რაც დაწესებულების დადებითი მაჩვენებელია.

9. სტუდენტური სერვისების მიმართულებით გამოკითხვის შედეგებიდან დგინდება, რომ დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად უზრუნველყოს სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების ფართო სპექტრის შეთავაზება, ისინი მუშაობენ ამ მიმართულებით სიახლე შესთავაზონ თავიანთ სტუდენტებს და უზრუნველყონ მათი უფლებების დაცვა, ასევე დაწესებულებები იყენებენ სტუდენტებთან სხვადასხვა სახის მეთოდებს, როგორც გამოკითხვის შედეგმა გვაჩვენა, სტუდენტთა კვლევაში მონაწილეობის მაჩვენებელი და ჩართულობა საშუალოზე მეტია, რაც შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, თუმცა დაწესებულებას მაინც სჭირდება მუშაობა ამ მიმართულებით, რომ შედეგი დამაკმაყოფილებელზე მეტი ჰქონდეს და იდენტიფიცირდეს გამოსასწორებელი საკითხები.
10. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მივიღეთ სურათი სტუდენტთა ჩართულობის და დაინტერესების ნაწილში დაწესებულებებს მეტი მუშაობა მართებთ. ჩვენ მიერჩატარებული კვლევებით დადასტურდა, რომ რესპოდენტების უმრავლესობა არ არის ჩართული საუნივერსიტეტო აქტივობებში. ზემოთ წარმოდგენილ დიაგრამებში სტუდენტთა სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალი იყო. კვლევის საფუძველზე მყარდება მოსაზრება, რომ დაწესებულებების მზაობა სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი სტუდენტური სერვისები შესთავაზონ დიდია, თუმცა იკვეთება პრობლემა, რომელიც სტუდენტთა დაინტერესებასთან და სამსახურების ეფექტურ მუშაობასთან მივყავართ. მათი პასუხებიდან იკვეთება, რომ დაწესებულებები სთავაზობენ სხვადასხვა მიმართულებით მხარდამჭერ სერვისებს, თუმცა ამ სერვისებით დაინტერესებულთა საერთო სურათით დაბალია. ჩნდება მოსაზრება, რომ სამსახურებმა სწორედ დაინტერესების მიმართულებით უნდა განაგრძონ მუშაობა სტუდენტთა ჩართულობის დონის გასაზრდელად.

რეკომენდაციები

- სტუდენტთა მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები სტუდენტებთან კომუნიკაციის ნაწილში საჭიროებენ გადამზადებას/ტრენინგს, რათა მათ თავიანთი მოვალეობები უფრო ეფექტიანად შეასრულონ.
- დაწესებულებმა საჭიროა უზრუნველყოს ვებ-გვერდების დახვეწა/მუდმივი განახლება, ვინაიდან სტუდენტისთვის ინფორმაციის მიღებისთვის ვებ-გვერდი ერთ-ერთ პირველ წყაროდ იქნა დასახელებული;
- რეკომენდირებულია დაწესებულებმა გააძლიერონ მუშაობა სტუდენტთა უფლებების დაცვის მიმართულებით. მნიშვნელოვანია, უსდ-ებში არსებობდეს ისეთი გარემო, სადაც სტუდენტები თავს უსაფრთხოდ იგრძნობენ, ხოლო „ომბუდსმენის ოფისი“ ამის კარგი მაგალითია.
- სტუდენტებისთვის და მათი მომავალი კარიერული წინსვლისთვის საჭიროა, გაიზარდოს დამსაქმებელთა ჩართულობა და მათთან კომუნიკაცია, დაწესებულების მიერ შეიქმნას დამსაქმებელთა ბაზები.
- სტუდენტებისთვის საინტერესო და მოტივაციის ასამაღლებლად კარგი წამოწყება იქნება, „სტუდენტური ბლოგის“ დანერგვა. აღნიშნული სერვისით ისინი ინტერესის შესაბამისად გამოაქვეყნებენ თავიანთ სტატიებს და მოსაზრებებს გაუზიარებენ სხვა დაინტერესებულ სტუდენტებს.
- მნიშვნელოვანია სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგების უსდ-ების მიერ მაქსიმალური გათვალისწინება და დროული ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.
- კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია, რისთვისაც საჭიროა უსდ-ებმა

იზრუნონ სტუდენტთა ინტერესების შესაბამისი მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზებასა და ინფორმირებულობის დონის გაზრდაზე.

- საჭიროა, უსდ-ებმა იზრუნონ სტუდენტური სერვისების მიმართულებით შემუშავებული დოკუმენტაციის (წესები, დებულებები, პოლიტიკა და ა.შ.) პრაქტიკაში დანერგვა/ განხორციელებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

ანდლულაძე, ნ., ბრეგვაძე, თ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (2014).

უმაღლესი განათლებით სტუდენტთა კმაყოფილებისა და სწავლის პროცესში ჩართულობის კვლევა: მოძიებულია 1 ნოემბერი, 2020 წელი.

<http://erasmusplus.org.ge/files/publications/Student%20satisfaction%20survey%20-%20ge.pdf>

ბაქრაძე, ლ., ლორთქიფანიძე, თ., ურუშაძე, ნ. (2015). უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ESG 2015. თბილისი : მოძიებულია 1 ნოემბერი, 2020 წელი.

https://enqa.eu/indirme/esg/ESG%20in%20Georgian_by%20Erasmus%20Georgia.pdf

გრძელიძე, ი., დარჩია, ი., სანიკიძე, თ., ლლონტი, თ., ციტრონიაშვილი, ქ. (2019). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული მექანიზმების დანერგვის ანალიზი. თბილისი: Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი: მოძიებულია 1 ნოემბერი, 2020 წელი.

გრძელიძე, ი., ბუჩაშვილი, გ., ქარდავა, მ., განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა: მიდგომები, გამოწვევები და შესაძლებლობები : მოძიებულია 1 ნოემბერი, 2020 წელი. <https://eqe.ge/res/docs/QAHandbook10.12.2019-Final.pdf>

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიში 2017-2018 სასწავლო წელს სტუდენტთა გამოკითხვის შესახებ ჩატარებულმა კვლევა სტუდენტთა გამოკითხვის შესახებ“ : მოძიებულია 1 ნოემბერი 2020 წელი .

<http://gruni.edu.ge/uploads/files/khariskhi/kvleva/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98 %E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90 %E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1 %E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91 2017-2018.pdf>

დასკვნები » სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა (2018): მოდიეებულია 1 ნომბერი, 2020 წელი.

<https://eqe.ge/res/docs/TSUfinalreportfinalGEO.pdf>

დასკვნები » სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა (2018): მოდიეებულია 1 ნომბერი, 2020 წელი.

<https://eqe.ge/res/docs/->

<https://eqe.ge/res/docs/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

დასკვნები » ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ (2019) : მოდიეებულია 1 ნომბერი, 2020 წელი.

<https://eqe.ge/res/docs/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98.pdf>

დასკვნები » უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის ფორმა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტი (2019): მოძიებულია 18 ნოემბერი, 2020 წელი.

დასკვნები » უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი (2018) : მოძიებულია 18 ნოემბერი, 2020 წელი.

დასკვნები » უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა საბოლოო დასკვნა ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (2019) : მოძიებულია 1 ნოემბერი, 2020 წელი.

<https://eqe.ge/res/docs/%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

დასკვნები » გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა (2018) : მოძიებულია 1 ნოემბერი, 2020 წელი.

<https://eqe.ge/res/docs/GRUNIAuthorizationReportGEO-Final-signed14.09.2018.pdf>

დასკვნები » უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (2018) : მოძიებულია 1 ნოემბერი, 2020 წელი.

<https://eqe.ge/res/docs/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98.PDF>

დასკვნები » გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (გთუნი) ავტორიზაციის შესახებ დასკვნა (2019) : მოძიებულია 1 ნოემბერი, 2020 წელი.

<https://eqe.ge/res/docs/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%90.pdf>

დასკვნები » ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი“ (2019): მოძიებულია 1 დეკემბერი 2020 წელი.

<https://eqe.ge/media/11848/1.%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98.pdf>

დასკვნები » უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (2018): მოძიებულია 15 დეკემბერი 2020 წელი.

დასკვნები » ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი(2018): მოძიებულია 15 დეკემბერი 2020 წელი.

დასკვნები » ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი(2018) : მოძიებულია 15 დეკემბერი 2020 წელი.

დასკვნები » აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა (2018) : მოძიებულია 18 დეკემბერი 2020 წელი.

ერევნის კომუნიკე (2015): მოძიებულია 5 ნოემბერი, 2020 წელი.

<https://eqe.ge/res/docs/yerevancommuniqueGeorgian.pdf>

სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა, თბილისი 2015 წ. ნოემბერი: მოძიებულია 1 ნოემბერი, 2020 წელი.

https://osgf.ge/files/2015/2015/publication/Student_centered_education_-_Analytical_Report.pdf

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტი: მოდიებულია 1 ნოემბერი, 2020 წელი.

https://eqe.ge/res/docs/N3_7.02.2018.pdf

ქართველ ექსპერტთა მიერ შემუშავებული ანგარიშები & რეკომენდაციები 2009 – 2013 : მოდიებულია 13 დეკემბერი, 2020 წელი.

<http://erasmusplus.org.ge/files/publications/Reports%20and%20Recommendations%20-%20ge.pdf>

Ciobanu A. (2013) *The Role of Student Services in the Improving of Student Experience in Higher Education*. Elsevier LTD, 92, 169-173 : მოდიებულია 26 ნოემბერი, 2020 წელი.

https://www.researchgate.net/publication/270848856_The_Role_of_Student_Services_in_the_Improving_of_Student_Experience_in_Higher_Education

McInnis, C. (2004), "Studies of student life: an overview", *European Journal of Education*, Vol. 39No. 4, pp. 383-394: მოდიებულია 26 ნოემბერი, 2020 წელი.

<https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/j.1465-3435.2004.00192.x>

UCLan-ის უნივერსიტეტის ბლოგი (#UCLanians Blog): მოდიებულია 6 იანვარი, 2021 წელი.

<https://www.uclancyprus.ac.cy/category/uclanians-blog/>

UCLan-ის სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახურის Facebook დახურული ჯგუფი, (Student Support Services UCLan Cyprus) : მოდიებულია 6 იანვარი, 2021 წელი.

https://www.uclancyprus.ac.cy/life/student-support/welfare-and-support-services#tab_a/

<https://eqe.ge/ka> ბოლო ნახვა: 21.01.2021

<https://erasmusplus.org.ge/> ბოლო ნახვა:21.01.2021

<https://www.tsu.ge/> ბოლო ნახვა:27.12.2020

<http://www.iliauni.edu.ge/> ბოლო ნახვა:27.12.2020

<https://atsu.edu.ge/> ბოლო ნახვა:27.12.2020

<http://agruni.edu.ge/> ბოლო ნახვა:27.12.2020

<https://gtu.ge/> ბოლო ნახვა:25.12.2020

<https://gtu.ge/> ბოლო ნახვა:25.12.2020

<https://www.ug.edu.ge/> ბოლო ნახვა:29.12.2020

<https://cu.edu.ge/> ბოლო ნახვა:29.12.2020

<http://www.gruni.edu.ge/> ბოლო ნახვა:29.12.2020

<http://www.ibsu.edu.ge/ge/> ბოლო ნახვა:24.12.2020

<https://sdasu.edu.ge/> ბოლო ნახვა:22.12.2020

<http://www.ciu.edu.ge/> ბოლო ნახვა:22.12.2020

<https://www.newvision.ge/> ბოლო ნახვა:22.12.2020

<https://btu.edu.ge/> ბოლო ნახვა:25.12.2020

<http://eeu.edu.ge/> ბოლო ნახვა:27.12.2020

<https://tou.edu.ge/> ბოლო ნახვა:10.12.2020

<http://gttu.edu.ge/> ბოლო ნახვა:22.12.2020

<http://www.seu.edu.ge/> ბოლო ნახვა:23.12.2020

<http://www.esu.edu.ge/> ბოლო ნახვა:23.12.2020

<http://eastwest.edu.ge/> ბოლო ნახვა:22.12.2020

<http://newuni.edu.ge/> ბოლო ნახვა:22.12.2020

დანართი 1 კითხვარი სტუდენტებისთვის



კითხვარი სტუდენტური მხარდამჭერი სერვისებით კმაყოფილების შესახებ

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ტარდება კვლევა რომლის მიზანია სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების შესწავლა და ანალიზი თუ, რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტური სერვისები, როგორც ხარისხის შიდა უზრუნველყოფისთვის.

კვლევაში თქვენი მონაწილეობა ფასდაუდებელი იქნება

გამოკითხვის პროცესში ანონიმურობა და კონფიდენციალობა დაცულია.

კითხვარის შესავსებად დაგჭირდებათ დაახლოებით 15-17 წუთი.

კითხვარი დასრულებულად ჩაითვლება, როდესაც ყველა კითხვაზე მოინიშნება/ გაიცემა პასუხი და გამოჩნდება ლილაკი "SUBMIT"

წინასწარ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისთვის.

1. რომელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი ხართ?

+სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

+ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

+ შპს. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

+ შპს. ახალი უმაღლესი სასწავლებელი

+შპს. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

+ შპს. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

+სხვა _____

**1. თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების
სტატუსი:**

+ საჯარო/სახელმწიფო

+ კერძო

2. რომელ საფეხურზე სწავლობთ?

+ ბაკალავრიატი

+ერთსაფეხურიანი

+მაგისტრატურა

+ დოქტურანტურა

+Other: _____

3. ამ მომენტისთვის თქვენი სტუდენტის სტატუსი არის:

+აქტიური

+ შეჩერებული

+ შეწყვეტილი

4. თქვენი სქესი:

+ მამრობითი

+ მდედრობითი

5. გსმენიათ თუ არა თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტების მხარდამჭერი სერვისების არსებობის შესახებ ?

+დიახ

+ არა

+არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

7. გსმენიათ თუ არა თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით სამსახურის/ების არსებობის შესახებ?

+დიახ

+ არა

+არ დამჭირვებია/მიჭირს პასუხის გაცემა

8. რამდენად ეფექტიანად მუშაობენ თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით შექმნილი სამსახური/ები?

+ძალიან ეფექტურად

+ძალიან ეფექტურად ხშირად გვთავაზობენ სხვადასხვა აქტივობებს და სერვისებს

+როგორც ვიცი, ხშირად გვთავაზობენ სხვადასხვა სერვისებს, მაგრამ არ მიმიღია არცერთხელ მონაწილეობა

+ჩემს უნივერსიტეტში იშვიათად გვთავაზობენ შესაბამისი სამსახურები სხვადასხვა აქტივობებს და სერვისებს

+სხვა ჩაწერეთ კომენტარი (გამოიყენეთ ქართული ფონტი)

+Other: _____

9. რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტთა

მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით შექმნილი სამსახური/ების მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა აქტივობებით ?

- + ძალიან უკმაყოფილო უფრო უკმაყოფილო
- + არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო უფრო კმაყოფილი
- + ძალიან კმაყოფილი
- + მიჭირს პასუხის გაცემა

10. რომელი სტუდენტური სერვისები არსებობს თქვენს უნივერსიტეტში (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი და ჩაწეროთ სხვა სერვისებიც)

- კონსულტაციები
 - ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები
 - საბიბლიოთეკო რესურსები
 - დასაქმების პროგრამები
 - სტაჟირების პროგრამები
 - გაცვლითი პროგრამები
 - არ მაქვს ინფორმაცია
 - სხვა ჩაწერეთ კომენტარი (გამოიყენეთ ქართული ფონტი)
-

11. რა წყაროდან იღებთ ინფორმაციას კარიერული მხარდაჭერის სერვისების შესახებ?

- +უნივერსიტეტის ვებ. გვერდიდან
- +უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურებიდან
- +სხვა წყაროებიდან (facebook...)
- +არ მაქვს ინფორმაცია
- +სხვა ჩაწერეთ კომენტარი (გამოიყენეთ ქართული ფონტი)

12. კარიერული მხარდაჭერის რა სერვისებით სარგებლობთ ან გისარგებლიათ უნივერსიტეტში? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

- ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები

- სტუდენტების პრაქტიკის, სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობას
 - კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული ტრენინგები და სხვა აქტივობები
 - დასაქმების ფორუმები
 - სხვა ჩაწერეთ კომენტარი (გამოიყენეთ ქართული ფონტი)
-

13. გთხოვთ გვიპასუხოთ, ეთანხმებით თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილ ფრაზებს სასწავლებლის სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ

- არ ვეთანხმები
- ნაწილობრივ ვეთანხმები
- სრულიად ვეთანხმები
- მიჭირს პასიხის გაცემა

14. რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლებლის სასწავლო პროცესის სხვადასხვა ასპექტით?

	ძალიან უკმაყოფილო	უფრო უკმაყოფილო	არც კმაყოფილი არც უკმაყოფილო	უფრო კმაყოფილი	ძალიან კმაყოფილი	მიჭირს პასუხის
სასწავლებლის შენობა, ფიზიკური გარემო	+	+	+	+	+	+
სასწავლებლის ტექნიკური აღჭურვილობა (კომპიუტერული კლასი, ინტერნეტი)	+	+	+	+	+	+
აუდიტორიები (სისუფთავე,	+	+	+	+	+	+

განათება, ავეჯი)

სანიტარული კვანძების მდგომარეობა	+	+	+	+	+	+
ბიბლიოთეკა (ლიტერატურის მრავალფეროვნება, ხელმისაწვდომობა)	+	+	+	+	+	+
უსაფრთხოება/ დაცულობა	+	+	+	+	+	+
კარიერული მხარდაჭერის სევისები	+	+	+	+	+	+
სტუდენტთა პრაქტიკა დაწესებულებაში	+	+	+	+	+	+
სტუდენტური ცხოვრება (სპორტული,, გასართობი, შემოქმედებითი აქტივობები)	+	+	+	+	+	+
სწავლის საფასურის გადახდის სისტემა	+	+	+	+	+	+
პერსონალური ურთიერთობები + სტუდენტებს შორის	+	+	+	+	+	+
პერსონალური ურთიერთობები + ლექტორებთან	+	+	+	+	+	+
პერსონალური ურთიერთობები + ადმინისტრაციასთან	+	+	+	+	+	+
ადმინისტრაციის მხრიდან ტექნიკური დახმარების ხარისხი	+	+	+	+	+	+
საეთაშორისო კონფერენციებში ან/ და პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები	+	+	+	+	+	+

15. მივიღიათ თუ არა მონაწილეობა შემდეგ აქტივობებში?

	დიახ	არა	იშვიათად
სტუდენტური კონფერენცია	+	+	+
სასწავლებლის ფარგლებში			

სხვა დაწესებულებების მიერ ორგანიზებული სტუდენტური კონფერენცია საქართველოში	+	+	+
სტუდენტური კონფერენცია საქართველოსფარგლებს გარეთ	+	+	+
სპორტული ღონისძიებები სასწავლებლის ფარგლებში	+	+	+
სპორტული ღონისძიებები სასწავლებლის ფარგლებს მიღმა	+	+	+
ექსკურსია, რომელიც ორგანიზებული იყო სასწავლებლის მხრიდან	+	+	+
სხვა აქტივობა, რომელიც სასწავლებლის სტუდენტებ სის/ ადმინისტრაციის მიერ იყო ორგანიზებული _____			

16. რამ შეიძლება გააუმჯობესოს სასწავლებელმა იმისთვის, რომ თქვენი კმაყოფილება გაიზარდოს უნივერსიტეტის სერვისებით? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

- სასწავლებლის იმიჯზე ზრუნა
- სასწავლებლის ინფრასტრუქტურა, ფიზიკური გარემო
- სანიტარული კვანძები
- დასაქმებაში ხელშეწყობა
- სასწავლო პროცესი
- ინტერნეტის ხარისხი
- სტიპენდიები

- დისტანციური სწავლების შესაძლებლობა
 - სპორტული დარბაზი
 - სტუდენტური სერვისები
 - სტუდენტების ინფორმირება
 - სხვა ჩაწერეთ კომენტარი (გამოიყენეთ ქართული ფონტი)
-

17. თქვენი აზრით, სტუდენტური მხარდამჭერი ფაქტორი რამდენად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფისთვის?

- + ძალიან მნიშვნელოვანია
- + მნიშვნელოვანია
- + ნაწილობრივ მნიშვნელოვანია
- + არ არის მნიშვნელოვანი
- + მიჭირს პასუხის გაცემა

18. როგორ შეაფასებდით 10 ბალიან სკალაზე (სადაც 1 ყველაზე უარყოფითია 10 ყველაზე დადებითი) თქვენი უსდ-ს სტუდენტთა მხარდამჭერ სერვისებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
+	+	+	+	+	+	+	+	+	+

19. რა დამატებით სერვისს ისურვებდით სასწავლებლის მხრიდან?

დანართი 2 ჩალრმავებული ინტერვიუს კითხავრი

*კითხვარი უსდ-ში სტუდენტური მხარდამჭერი სერვისებისმიწოდება/
განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისათვის*

1. თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- შპს. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
- შპს. ახალი უმაღლესი სასწავლებელი
- შპს. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- შპს. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
- სხვა _____

2. ჩაწერეთ თქვენი დეპარტამენტის/სამსახურის/განყოფილების დასახელება:

3. თქვენს უსდ-ში სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების მიწოდება/განვითარებაზე რომელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ია პასუხისმგებელი?

4. უსდ-ს აქვს თუ არა გაწერილი თქვენი სამსახურის/დეპარტამენტის/განყოფილების/ცენტრის დებულება ან წესი?

დიახ

არა

5. თქვენი აზრით, რა გავლენა/როლი აქვს სტუდენტთა მხარდამჭერ სერვისებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფაზე?

6. თქვენი უსდ რომელ მხარდამჭერ სერვისებს სთავაზობს სტუდენტებს? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

კონსულტაციები

ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები საბიბლიოთეკო სერვისები დასაქმების პროგრამები

სტაჟირების პროგრამები

საინოვაციო ცენტრი

გაცვლითი პროგრამები

სხვა _____

7. თქვენ მიერ შეთავაზებული სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისებიდან რომელს გამოყოფდით თქვენივე უსდ-ს „სავიზიტო ბარათად“? (მოკლედ ჩაწერეთ ამ სერვისის შესახებ)

8. სტუდენტთა ინფორმირებისთვის რომელ წყაროებს იყენებთ სხვადასხვა მხარდამჭერი სერვისების შეთავაზებისას? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

- უნივერსიტეტის ვებ. გვერდი
- ტექსტური შეტყობინება
- ოფიციალური გვერდი (Facebook თუ სხვა პატფორმა)
- საცნობარო დაფა
- სხვა _____

9. შეაფასეთ პოტენციურ დამსაქმებლებთან თქვენი თანამშრომლობა; რა გამოწვევების წინაშე დგას უსდ სტუდენტთა დასაქმებასთან დაკავშირებით?

10. როგორ უზრუნველყოფს თქვენი უსდ დამსაქმებელთა ჩართვას საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სტაჟირებისა და პრაქტიკის განხორციელებას?

11. როგორ/ რა მექანიზმებით ფასდება თქვენს უსდ-ში მხარდამჭერი სერვისების შესახებ სტუდენტთა კმაყოფილების დონე?

12. თქვენი უსდ დამატებით რა აქტივობებს სთავაზობს სტუდენტებს (კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი აქტივობების - სპორტული, ხელოვნების,

შემეცნებითი აქტივობები) წახალისებისა და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობის, მხარდაჭერის მიზნით?

13. თქვენს უსდ-ში რამდენად არის გათვალისწინებული სტუდენტის სოციალური მდგომარეობა და რა მხარდამჭერი მექანიზმები არსებობს ამისთვის? (მაგ., სტიპენდია, სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სქემა და სხვა შეღავათები).

14. თქვენს უსდ-ში სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად რა მხარდამჭერი მექანიზმები/სერვისები მოქმედებს?

15. რას გეგმავთ თქვენს უსდ-ში სტუდენტთა მხარდამჭერის სერვისების გასავითარებლად?

16. თქვენი დამატებითი კომენტარი (სურვილის შემთხვევაში)

*სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების შეფასება უსდ-ს ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურების მიერ*

*1. რომელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურს წარმოადგენთ?*

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- შპს. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
- შპს. ახალი უმაღლესი სასწავლებელი
- შპს. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- შპს. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
- სხვა _____

*2. არსებობს თუ არა თქვენს უსდ-ში სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების
მიმართულებით სტრუქტურული ერთეული?*

დიახ

არა

*3. რომელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი არიან პასუხისმგებელნი/ ჩართულნი
თქვენს უსდ-ში სტუდენტური სერვისების მიწოდებასა და განვითარებაზე?*

4. როგორ შეაფასებდით თქვენი უსდ-ს სტუდენტური მხადამჭერის სერვისების მიწოდებაზე/განვითარებაზე პასუხისმგებელი სამსახურების მუშაობას?

5. თქვენს უსდ-ში რა ტიპის მხადამჭერ სერვისებს სთავაზობთ სტუდენტებს?

6. რა მექანიზმებით/ფორმით უზრუნველყოფთ მხადამჭერის სერვისების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას?

7. თქვენს უსდ-ში არსებული მხადამჭერი სერვისებიდან ყველაზე მეტად რომელ სერვისს იყენებენ სტუდენტები და როგორია ზოგადად მათი ჩართულობა?

8. თქვენი აზრით, რა გავლენა/როლი აქვს სტუდენტთა მხადამჭერ სერვისებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფაზე?

9. ატარებთ თუ არა შიდა საუნივერსიტეტო კვლევას/კვლევებს სტუდენტთა მხადამჭერი სერვისების კმაყოფილების შესახებ?

- დიახ, ყოველწილურად
- დიახ, ყოველსემესტრულად
- იშვიათად

არა

10. იმ შემთხვევაში, თუ ატარებთ სერვისების შესახებ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევებს, რამდენად მაღალია მათი კვლევაში მონაწილეობის მაჩვენებელი?

11. თქვენ მიერ ჩატარებული კვლევებიდან როგორი სურათი იკვეთება სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების შეფასებისას?

12. თქვენი უსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევებიდან ზოგადად რამდენად კმაყოფილები არიან სტუდენტები არსებული სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმების მრავალფეროვნებითა და ხარისხით?

13. როგორ შეაფასებდით ზოგადად საქართველოში სტუდენტურ მხარდამჭერ სერვისებს და მათ მიწოდებას? როგორ ფიქრობთ, რა გამოწვევების წინაშე დგას უსდ-ები ამ მიმართულებით?

14. თქვენი დამატებითი კომენტარი (არსებობის შემთხვევაში)

დანართი 3 ცხრილები, დიაგრამები, სქემები

ცხრილი № 3.1 უსდ-ში არსებული დეპარტამენტის/სამსახურის/განყოფილების დასახელება და სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების მიწოდება/განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი

ცხრილი №3.2 სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი, რომლებიც პასუხისმგებელი/ჩართულნი არიან უსდ-ში სტუდენტური სერვისების მიწოდებასა და განვითარებაზე

ცხრილი № 3.3 სტუდენტთა გამოხმაურებები

დიაგრამა № 3.1 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

დიაგრამა № 3.2 გსმენიათ თუ არა თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტების მხარდამჭერი სერვისების არსებობის შესახებ ?

დიაგრამა № 3.3 გსმენიათ თუ არა თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით სამსახურის/ების არსებობის შესახებ?

დიაგრამა № 3.4 კითხვაზე თუ, რამდენად ეფექტიანად მუშაობენ თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით შექმნილი სამსახური/ები?

დიაგრამა № 3.5 რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით შექმნილი სამსახური/ების მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა აქტივობებით ?

დიაგრამა № 3.6 რომელი სტუდენტური სერვისები არსებობს თქვენს უნივერსიტეტში

დიაგრამა № 3.7 კარიერული მხარდამჭერის რა სერვისებით სარგებლობა

დიაგრამა № 3.8 სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მაჩვენებელი

დიაგრამა № 3.9 რა წყაროდან იღებთ ინფორმაციას კარიერული მხარდამჭერის სერვისების შესახებ?

დიაგრამა № 3.10 სტუდენტთა კმაყოფილება სასწავლო პროცესის მიმართულებით

დიაგრამა № 3.11 თქვენი აზრით, სტუდენტური მხარდამჭერი ფაქტორი რამდენად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფისთვის?

დიაგრამა № 3.12 სტუდენტთა კმაყოფილების გაზრდა

დიაგრამა № 3.13 სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ

დიაგრამა № 3.14 როგორ შეაფასებდით 10 ბალიან სკალაზე (სადაც 1 ყველაზე უარყოფითია 10 ყველაზე დადებითი) თქვენი უსდ-ს სტუდენტთა მხარდამჭერ სერვისებს?